საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

შაბათი, 24 მარტი. 2018 წ. №60-61 (8461-8462), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

2

ალექსანდრე ლუკაშენკო: რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი არ არის კონფლიქტი ქართველ და რუს ხალხებს შორის, ეს არის კონფლიქტი ხელისუფლებებს შორის

აზიური ფაროსანა ნამდვილ თავსატეხად გვექცა

8

ჯაშუშებო, სწორება დემოკრატიული ევროპისკენ!

4

ვასრულებთ პუბლიკაციას:

ასე ამბობდა ნაპოლეონი

6



ია მეტრეველი: დამნაშავეები ყველაფერზე მიდიან, რომ პროცესი ჩაიშალოს

ზაზა ბაქრაძე: ბუტა რობაქიძის მკვლელობის ადგილის გაყალბება აღიარა!

3

...ერისა და ქვეყნის ტრაგედია!

„ეს არ არის მხოლოდ ოჯახის ტრაგედია, ეს არის მთელი ჩვენი ერისა და ქვეყნის ტრაგედია“, — ეს განცხადება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ არჩილ ტატუნაშვილის ოჯახთან შეხვედრისას გააკეთა.

„ჩვენ ვიზიარებთ ოჯახის მწუხარებას. ეს არის მწუხარება მთელი საქართველოსი. ნათელში იყოს მისი სული. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მისი სული ცოცხალია და მას სჭირდება ლოცვები“, — განაცხადა უწმინდესმა. ილია მეორე წილკანში სასულიერო პირებთან ერთად ჩავიდა და სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა.



პარლამენტმა ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები დაამტკიცა

პარლამენტმა ახალი რედაქციის კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებები 115 ხმით მესამე მოსმენით დაამტკიცა. ცვლილებები გასული წლის სექტემბერში მიღებული კონსტიტუციის პროექტში აისახება, რომელიც ძალაში მიმდინარე წლის ოქტომბერში — ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების შემდეგ შედის.

გენდერული კვოტირების შესახებ კანონპროექტი ჩავარდა!

საქართველოს პარლამენტმა გენდერული კვოტირების შესახებ კანონპროექტი ჩააგდო. მას მხარი 66-მა დეპუტატმა დაუჭირა, 14 წინააღმდეგ წავიდა. „საარჩევნო კოდექსში“, როგორც ორგანულ კანონში ცვლილების შეტანას 75 დეპუტატის მხარდაჭერა სჭირდებოდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი კანონპროექტი არჩევნებზე ისეთი პროპორციული სიის წარდგენას გულისხმობდა, რომლის მიხედვითაც, სიაში ყოველი მეორე ქალი უნდა ყოფილიყო.

ზაზა პაპუაშვილი: ქალებს საჯარო სამსახურში სამუშაო დრო შევუმციროთ, მეტი დრო მივცეთ სახლისთვის

თუ ის ადამიანები (ქალები) საჯარო სამსახურში არიან, მოდი, მათ შევუმციროთ სამუშაო დრო, მეტი დრო მივცეთ სახლისთვის, თავს მიხედოს, ოჯახს, სამეგობროს, — ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნება — ძლიერი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ზაზა პაპუაშვილმა გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, გენდერული კვოტირება დაპირისპირებას მოიტანს.

— ამის კანონის ხარისხში აყვანა არ გამოიწვევს კარგ შედეგს. დავაპირისპირებთ ხალხს ერთმანეთთან, დაპირისპირებას შეუწყობს ხელს თორემ, იმას ნუ გვამტკიცებინებთ და უხერხულია, რომ ქალები როგორ გვიყვარს და როგორ პატივს ვცემთ. ქალს სჭირდება მოვლა, ქალს სჭირდება გაფრთხილება. თუ ის ადამიანები საჯარო სამსახურში არიან, მოდი, მათ შევუმციროთ სამუშაო დრო. მეტი დრო მივცეთ სახლისთვის, თავს მიხედოს, ოჯახს, სამეგობროს, — განაცხადა ზაზა პაპუაშვილმა.

ბელარუსის ლიდერი: „რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი არ არის კონფლიქტი ქართველ და რუს ხალხებს შორის, ეს არის კონფლიქტი ხელისუფლებებს შორის“

ბელარუსის პრეზიდენტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს საქართველოს საპატრიარქოში შეხვდა. ალექსანდრე ლუკაშენკომ შეხვედრაზე რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ სიტუაციაზე ისაუბრა:

„თქვენ ძალიან სწორად აღნიშნეთ საქართველოს მთავარი პრობლემა — ტერიტორიული მთლიანობა. თქვენ იცით, ჩვენი დამოკიდებულება ამასთან დაკავშირებით. ჩვენ ყველა პრობლემის და კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გადაწყვეტის მომხრე ვართ. თქვენ ახსენეთ რუსეთი. ჩვენ ძალიან ხშირად ვსაუბრობთ ამაზე საქართველოს ხელისუფლებასთან. მეც ვემხრობი მოსაზრებას,

რომ ურთიერთობები უნდა დამყარდეს, მიუხედავად ყველანაირი უთანხმოებისა და აზრთა სხვადასხვაობისა. უთანხმოება შეიძლება იყოს, ყოველთვის იყო, მაგრამ ამავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს უკან ხალხია და მათ სურთ მშვიდად ცხოვრება და მეგობრობა. მე ვუთხარი საქართველოს პრეზიდენტს, რომ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი არ არის კონფლიქტი ქართველ და რუს ხალხებს შორის. პირდაპირ ვთქვათ, ეს არის კონფლიქტი ხელისუფლებებს შორის. საჭიროა ამბიციებიდან დისტანცირება ერთი და მეორე მხრიდან და ნორმალური ურთიერთობის დამყარება, რომელიც საუკუნეების მანძილზე შენდებოდა ჩვენს ხალხებს შორის“, — მიმართა ალექსანდრე ლუკაშენკომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

ბელარუსის პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტს ტრაქტორი BELARUS-152 აჩუქა. ფოტო ლუკაშენკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

ლუკაშენკოს მარგველაშვილი მისი მოყვანილი ბელარუსული კარტოფილით გაუმასპინძლდა

საქართველოს **პრეზიდენტის სახელით გამართულ სახელმწიფო ვახშამზე ალექსანდრე ლუკაშენკოს და ბელარუსის დელეგაციას გიორგი მარგველაშვილი მისი მოყვანილი ბელარუსული კარტოფილით გაუმასპინძლდა.**

კვირიკაშვილმა ლუკაშენკოს უმასპინძლა

საქართველოს **პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს, დელეგაციასთან ერთად, მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.**

შეხვედრის დასაწყისში, პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა პრეზიდენტ ლუკაშენკოს განსაკუთრებულ წვლილს და მისი 2015 წლის ვიზიტის მნიშვნელობას ორმხრივი ურთიერთობების გააქტიურებაში და აღნიშნა, რომ გასული სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის მიმართულებით მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი. მთავრობის მეთაურმა ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტს ასევე მადლობა გადაუხადა ბორჯომის ხეობაში ხანძრის ლიკვიდაციის პროცესში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი დახმარებისთვის და ხაზი გაუსვა ბელარუსი მეხანძრეებისა და მფრინავების პროფესიონალიზმს.

საუბარი შეეხო ბელარუსის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილ შეთანხმებებს, რომლებიც სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავს მიზნად. ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხელმოწერილ დოკუმენტებს ისტორიული უწოდა და განსაკუთრებით აღნიშნა ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში თანამშრომლობის განვითარების პოზიტიური დინამიკა. მისი განცხადებით, ბელარუსი არა მხოლოდ მზად არის, საქართველოსთან ერთად შექმნას ერთობლივი საწარმოები, არამედ ადგილობრივ მოსახლეობას შეასწავლოს. პრეზიდენტმა ლუკაშენკომ გამოთქვა მზადყოფნა, ბელარუსმა ყოველთვის დაუჭიროს მხარი საქართველოს და მოძმე ქართველ ხალხს იქ, სადაც მათ ეს დასჭირდებათ.

პრემიერის გამოსამშვიდობებელი შეხვედრა იან კელისთან

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აშშ-ის ელჩთან საქართველოში იან კელისთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა.

— საქართველოს მთავრობისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობა უმაღლესი პრიორიტეტია. ამ თვალსაზრისით, გასული წელი განსაკუთრებით აღსანიშნავი და სამაგალითო იყო. საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების გაღრმავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აშშ-ის ელჩმა იან კელიმ, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდი. ელჩი კელი საქართველოში დიპლომატიურ საქმიანობას ასრულებს და სამშობლოში ბრუნდება. მე მას წარმატებებს ვუსურვებ! ვიმედოვნებ, იან კელი და მისი მეუღლე ფრანჩესკა კიდევ არაერთხელ ეწვევიან საქართველოს, როგორც ჩვენი ქვეყნის მეგობრები. ჩვენ მათ ყოველთვის სიხარულით ვუმასპინძლებთ. საქართველო იყო, არის და იქნება აშშ-ის ერთგული სტრატეგიული პარტნიორი, — თქვა პრემიერ-მინისტრმა.

დიმიტრი ქუმსიშვილი: „საძელეზე“ ძაბვის ვარდნა ნამდვილად მოხდა, რამაც საბაგიროს გათიშვა გამოიწვია

საქართველოს **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით გუდაურში საბაგიროზე მომხდარი ინციდენტის ექსპერტიზის შედეგების მიხედვით „საძელეზე“ ძაბვის ვარდნა მოხდა, რამაც მოწყობილობის გათიშვა გამოიწვია.**

მისივე თქმით, მსგავსი ფაქტის შემდეგ ოპერატორს კონკრეტული ქმედებები უნდა შეესრულებინა, რითაც საბაგიროს დიზელ-გენერატორზე გადაიყვანდა.

— 16 მარტს გუდაურში საბაგიროზე მომხდარი ინციდენტის ტექნიკური ინსპექტირების და მიზეზების დადგენის მიზნით, სამინისტროს მოწვევით საქართველოში „ბიურო ვერიტასის“ ექსპერტები იმყოფებოდნენ, დღეს უკვე გვაქვს მათ მიერ მომზადებული დასკვნის პირველადი ვერსია.

ვითარების შესწავლის შედეგად „ბიურო ვერიტასის“ ექსპერტებმა დაადგინეს, რომ „საძელეზე“ ძაბვის ვარდნა ნამდვილად მოხდა, რამაც საბაგიროს გათიშვა გამოიწვია.

თუმცა, საბაგიროს გაჩერების შემდეგ ოპერატორს უნდა ემოქმედა კონკრეტული თანმიმდევრობით და კონკრეტული ქმედებათა ერთობლიობის შემდეგ უნდა მოეხდინა აღნიშნული საბაგიროს გადაყვანა დიზელ-გენერატორზე და შემდგომში იქ არსებული ტურისტების მიყვანა იმ წერტილამდე, საიდანაც ისინი ჩამოვიდოდნენ და დაცლიდნენ საბაგიროს.

სამწუხაროდ, დღეს არსებული დასკვნის მიხედვით, ოპერატორმა დაუშვა შეცდომა. ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მან განახორციელა, არ იყო თანხვედრაში იმ ქმედებებთან, რომელიც არის გაწერილი ინსტრუქციაში. ეს იყო ადამიანური შეცდომის ფაქტორი“ — განაცხადა ქუმსიშვილმა.

მისივე თქმით, საბაგიროს ოპერატორი უკვე ჩამოშორებულია ამ საქმიანობას.

— დასკვნა გადაეცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც აგრძელებს მოკვლევას და, შესაბამისად, კანონმდებლობის მიხედვით იმოქმედებს. ჩვენი მხრივ, ოპერატორი ჩამოშორებულია ამ საქმიანობას. გარდა ამისა, მე მომმართა ორმა ადამიანმა იმისთვის, რომ შეჩერებულიყო მათი მოვალეობები — ეს არის მთის კურორტების განვითარების კომპანიის დირექტორის მოადგილე ტექნიკურ დარგში ირაკლი ჭირაქაძე და გუდაურის მთის მართვის დეპარტამენტის უფროსი კოტე ქადაგიძე. ეს ორი ადამიანი ასევე იღებს პასუხისმგებლობას, ისინი გრძნობენ მორალურ პასუხისმგებლობას აღნიშნულზე და მომმართეს უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე.

დასკვნა: უსაფრთხოების წესები იყო სრულად დაცული, თუმცა მოხდა ადამიანის შეცდომა“, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ამ ფაქტების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ 16 მარტს გუდაურში მომხდარი ინციდენტი იყო ერთჯერადი ფაქტი.

— „ბიურო ვერიტასის“ ექსპერტული დასკვნა საფუძვლად დაედება იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობა მიიღებს „საძელეს“ ინციდენტთან დამოკიდებულებით. საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ ოფიციალური გამოძიების შემდეგ მივიღებთ. გარდა ამისა, გამოძიებას აღნიშნული საქმის მიმართ გააგრძელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომლის შედეგიც მოგვიანებით გახდება ცნობილი. გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება შეუჩერდება ოპერატორს, რომელიც მართავდა „საძელეს“ საბაგიროს ინციდენტის მომენტში. რაც შეეხება სხვა პირების პასუხისმგებლობის საკითხს, ის მხოლოდ ოფიციალური გამოძიების დასრულების შემდეგ განისაზღვრება“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

„ენერგო-პრო“: „ავარიულ გათიშვას ან ძაბვის ვარდნას ადგილი არ ჰქონია“

— სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ **გუდაურის საკურორტო ზონაში ავარიულ გათიშვას ან ძაბვის ვარდნას კომპანიის ქსელში ადგილი არ ჰქონია. ამის დასადასტურებლად, ისიც საკმარისია, რომ გუდაურში არსებულ არცერთ საბაგიროზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხება მთელი დღის განმავლობაში არ მომხდარა. საერთაშორისო ექსპერტების მიერ შედგენილი პირველადი დასკვნა შესაძლოა, გულისხმობდეს საბაგირო გზების შიდა, ლოკალურ ელექტროქსელში დაფიქსირებულ რაიმე სახის ხარვეზს, თუნდაც ძაბვის ვარდნას. თუმცა, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ლოკალურ ქსელში არსებულ ხარვეზზე ინფორმაცია არ გააჩნია და ვერც ექნება იმ მიზეზის გამო, რომ არ ახორციელებს აღნიშნული ქსელის ექსპლუატაციას, შესაბამისად არ არის პასუხისმგებელი მის გამართულ ფუნქციონირებაზე.**

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ გამოთქვამს მზადყოფნას, ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინოს დოკუმენტაცია იმის დასადასტურებლად, რომ 16 მარტს გუდაურის საკურორტო ზონაში ელექტრომომარაგების კუთხით შეფერხებას ადგილი არ ჰქონია“, — აცხადებენ „ენერგო პროში“.

„ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიამ“ მდგომარეობა დაამძიმა...

რუსულ-ქართული პარლამენტთაშორისი ჯგუფის მუშაობა საქართველოში „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შესაძლო მიღებაზე იქნება დამოკიდებული. ამის შესახებ „რია ნოვოსტის“ დსთ-ს საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ლეონიდ კალაშნიკოვმა განუცხადა.

„ჩვენ მესამე შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი, მაგრამ სიტუაციას ამძიმებს ის, რომ საქართველოში გადაწყვიტეს მიიღონ სანქციების სია. „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატები გვთხოვდნენ, ხელი შეგვეწყო ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის საფლავების მონახულების პროცედურების გამარტივებისთვის, ახლა კი ამის ნაცვლად სანქციების სიის მიღებას აპირებენ. ვნახოთ, როგორ განვითარდება ეს სიტუაცია, რის მიხედვითაც მივიღებთ გადაწყვეტილებას ვადებისა და დროის საკითხზე“, — განაცხადა კალაშნიკოვმა.

ოკუპირებულ აფხაზეთში რეზერვისტების გადამზადება მიმდინარეობს

ოკუპირებულ აფხაზეთში რეზერვისტების მომზადების პროგრამა მიმდინარეობს, რომელსაც 2008 წლის აგვისტოს რუსული აგრესიის მონაწილე და რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი ანატოლი ხრულოვი ხელმძღვანელობს.

„სამხედრო სწავლებები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. პრაქტიკულ მეცადინეობებს საარტილერიო დანაყოფებთან გავივლით. 2018 წელი განსაკუთრებული იქნება პრაქტიკული სწავლებების გააქტიურების მხრივ, რადგან პროფესიული ჩვევების გაუმჯობესების აუცილებლობას ვხედავთ. ეს ეხება უმცროს სამხედრო შემადგენლობას, რომლებმაც დიდი ხნის წინათ დატოვეს სამხედრო სამსახური და არ გაუვლია მსგავსი შეკრებები. მომდევნო სწავლება ორ კვირაში გაიმართება, სადაც უფრო დიდი პირადი შემადგენლობის ჩართვა იგეგმება“, — განაცხადა ხრულოვმა.

ჟურნალისტმა გიორგი ზურაბიშვილმა გენერალურ ინსპექციას მიმართა

„რესპუბლიკური“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის დავით ზურაბიშვილის შვილი გიორგი ზურაბიშვილი ზეწოლასა და მუქარაზე საუბრობს. გუშინ მან შსს-ს გენერალურ ინსპექციას მიმართა. ჟურნალისტი სარჩელის შეტანას აპირებს პროკურატურაშიც.

საქმე ეხება იმ მუქარისა და შეურაცხყოფის შემცველ ტექსტებს, რომელსაც ზურაბიშვილი სამი დღის განმავლობაში იღებს. მიზეზი ჟურნალისტის მიერ ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკის საწინააღმდეგო პოსტი გახდა.

„ქართულმა მარშმა“ სასამართლოზე ჯგუფურად ილოცა, მაგრამ მაინც პატიმრობაში დატოვეს

თბილისის **საქალაქო სასამართლოში „ქართული მარშის“ დაკავებული წევრების პროცესი დაიწყო, სადაც აღკვეთის შესახებ უნდა იმსჯელონ. მოსამართლის დარბაზში გამოჩენისას ბრალდებულებმა დარბაზში ლოცვა დაიწყეს. „მამაო ჩვენო“ დაკავებულებმა და მოძრაობის სხვა წევრებმა ერთად წარმოთქვეს.**

„რუსთავი-2“- თან განვითარებული მოვლენების შედეგად, სულ 6 პირია დაკავებული. ყველა მათგანს

გამოძიება 239-ე მუხლის დარღვევას ედავება, რაც ჯგუფურად წინასწარ დაგეგმილ ხულიგნობას გულისხმობს. გარდა ამისა, ორ მათგანს ბრალი დაუმძიმდა. ლუკა ნაცვლიშვილს დამატებით სხვისი ნივთის დაზიანებას, გოგა ონიანს კი ცემასა და ძალადობას ედავებიან...

* * *

საძალაძე სასამართლოს მოსამართლემ პროკურატურის შუამდგომლობა გაითვალისწინა „ქართული მარშის“ ექვსივე წევრი წინასწარ პატიმრობაში დატოვა.

ქუთაისში ყვითელი შეფერილობის წვიმა მოვიდა

გუშინ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ცას ყვითელი შეფერილობა ჰქონდა. საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოში განმარტავენ და აცხადებენ, რომ მოვლენა ჰაერის მასაში ქვიშის შერევას უკავშირდება და საშიში არაფერია.

„სამხრეთიდან მოხდა თბილი ჰაერის მასების გადმოტანა, რომელშიც არის ქვიშა და ცის ფერის ცვლილებაც ამან გამოიწვია“, — აცხადებენ სააგენტოში.

ანალოგიური მოვლენა იყო ოდესაში და სოჭში, სადაც ყვითელი შეფერილობის თოვლი მოვიდა. ადგილობრივი სპეციალისტები განმარტავენ, რომ ეს, სავარაუდოდ, აფრიკიდან წამოსული ქვიშის ქარიშხლის შერევის შედეგია.

საქართველოს საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 32 მცურავი საშუალება აქვს

საქართველოს სახელმწიფო საზღვაო დროშა წარმატებით ვითარდება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული უცხოელი გემთმფლობელის საკუთრებაში არსებული კიდევ 1 გემი დაარეგისტრირა.

დღესდღეობით საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 32 მცურავი საშუალება არის დარეგისტრირებული.

პანკისში ჰესის მშენებლობას აპროტესტებენ

პანკისში, სოფელ ბირკიანში, მოსახლეობა „ხადორი 3“ ჰესის მშენებლობას აპროტესტებს. ადგილობრივების კრება გუშინ მშენებლობის ადგილას ჩატარდა

ფოტომასალას პანკისიდან სულხან ბორძიკაშვილი ავრცელებს.

ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები PROWEIN-ზე მონაწილეობდნენ

გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა „ProWein-2018“ ჩატარდა, სადაც ქართული ღვინის მწარმოებელი 26 კომპანია მონაწილეობდა. **გამოფენაზე ქართული კომპანიები წარმოდგენილი იყვნენ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ასოციაცია „ქართული ღვინოს“ ორგანიზებით. გამოფენის გახსნას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი დაესწრო.**

<u>ია მეტრეველი:</u> დამნაშავეები ყველაფერზე მიდიან, რომ პროცესი ჩაიშალოს

დამნაშავეები ყველაფერზე მიდიან, რომ პროცესი ჩაიშალოს, ცდილობენ, მოთმინებიდან გამომიყვანონ და ამას რაღაც დოზით ახერხებენ, ისეთ პროვოკაციებზე მიდიან, — ამის შესახებ ბუტა რობაქიძის დედამ ია მეტრეველმა სასამართლოში განაცხადა.

მისი თქმით, ბაქრაძემ აღიარა მისი დანაშაული და ინანიებს.

„ზაზა ბაქრაძე არის მათთვის მომაკვდინებელი მოწმე, ბაქრაძემ აღიარა მისი დანაშაული და ინანიებს. დამნაშავეები ყველაფერზე მიდიან, რომ პროცესი ჩაიშალოს, ცდილობენ, მოთმინებიდან გამომიყვანონ და ამას რაღაც დოზით ახერხებენ კიდეც... მათ უნდათ პროცესი ჩაშალონ, რომ ბაქრაძის აღიარებითი ჩვენების მიცემა არ მოხდეს. თუმცა, ეს ვერ მოახერხეს. თავხედი დონაძე საშინელ რაღაცებს ამბობს, რომ მოთმინებიდან გამომიყვანოს“, — განაცხადა შესვენების დროს პროცესიდან გამოსულმა ბუტა რობაქიძის დედამ ია მეტრეველმა.

ზაზა ბაქრაძემ ბუტა რობაქიძის მკვლელობის ადგილის გაყალბება აღიარა!

კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსის ზაზა ბაქრაძის ჩვენებით, მან ბუტა რობაქიძის მკვლელობის ადგილის გაყალბებაში მონაწილეობა მიიღო. მისი თქმით, იარაღები შემთხვევის ადგილზე ზურაბ მიქაძემ მიიტანა.

„რაციით გახდა ცნობილი, რომ წერეთლის გამზირზე იყო დაპირისპირება მოქალაქეებსა და პოლიციას შორის. მერე დაურეკეს ლევან გვაზავას და უთხრეს, რომ ერთი ადამიანი იყო დაჭრილი. ადგილზე მივედით გვაზავა, იაშვილი, ფირცხალავა, დონაძე და მიქაძე.

მომიყვა, რომ შემთხვევით გაუვარდა პატრულს და გარდაიცვალა ადამიანი. ვუთხარი, დანაშაული გახსნილია, დააკავეთ და კრიმინალური პოლიცია დაგეხმარებათ, რაც საჭირო იმაში-მეთქი. ესე არ გამოვაო, მითხრეს, იარაღებით არ არიან, მაგრამ უნდა იყვნენო. ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო, რომ უნდა მომხდარიყო შემთხვევის ადგილის გაყალბება და იარაღების ჩადება. კრიმინალური პოლიციის მაღალჩინოსნები უარზე ვიყავით და საუბარი ფაქტობრივად კონფლიქტში გადაიზარდა. მითხრეს, თუ პრეტენზია მქონდა, დავმჯდარიყავი მანქანაში და მივსულიყავი გენერალურ პროკურორ ადეიშვილთან. ამის შემდეგ გავჩუმდი.

მზად ვარ, თუ დადასტურდა ჩემი ჩვენების არასანდოობა და ცრუ ჩვენება, დამატებითი მუხლითაც ვაგო პასუხი. მე მივიღე მონაწილეობა შემთხვევის ადგილის გაყალბებაში. როცა ბართაია წამოაყენეს, ხელყუმბარა ჩამოუვარდა, ავიღე მე და ჩავუდე. იარაღების მიტანის გადაწყვეტილება მივიღეთ. იარაღები თავის სამსახურის მანქანით ვაკე-საბურთალოს სამმართველოდან ზურაბ მიქაძემ მოიტანა. იაშვილმა დარეკა სამმართველოში და უთხრა, რომ მისთვის გამოეტანებინათ იარაღი. ვინ ვის რას უდებდა, ვერ გეტყვით. გაყალბებული შემთხვევის ადგილის გადაღებას აწარმოებდა გურამ დონაძე“...

რუსეთის ევროკავშირის წევრები უტევენ

ევროკავშირის ქვეყნები უახლოეს დღეებში დაიწყებენ სკრიპალის საქმის გამო ანტირუსული ზომების მიღებას. „ვფიქრობ რომ, ნაციონალური ზომების მიღება უკვე შემდეგი კვირიდან დაიწყება“, — განაცხადა ლიტვის პრეზიდენტმა, რომელიც ევროკავშირის სამიტზე იმყოფება. ასევე ევროპის 28 ქვეყნის ლიდერმა თავის საგარეო უწყებებს დაავალა სოლსბერიში მომხდარი თავდასხმის გამო, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ზომების შემუშავება. ამის შესახებ დანიის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა ბრიუსელში.

1992 წლის 6 იანვარი.
სამხედრო გადატრიალება დამთავრდა.
ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება დამხობილია.
საქართველოს პირველი პრეზიდენტი — განდევნილი.

სად არის ახლა ის ბიჭი?!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთი პუბლიკაციის გამო

თბილისი — ისეა გადაბუგული, რომ აღა მაჰმად ხანის დრო გეგონება.

გამომცემლობა „სამშობლოში“ შევდივართ, ანუ ჩვენს-ჩვენს რედაქციებში.

მე — რა თქმა უნდა, „თბილისში“.

შესასვლელში ავტომატიანი ახალგაზრდა გადამეღობა.

— თქვენ სად მიდიხართ?

— მე გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილე ვარ, სოსო ჭუმბურიძე.

— გიცანით. რედაქტორი აქ ვეღარ მოვა, თქვენ კი ხომ იცით...

ამასობაში, მეც ვიცანი — **არჩილ იოსელიანი**. რომელიღაც პარტიის წარმომადგენელი, არაერთხელ მოსულა რედაქციაში — წერილებით, განცხადებებით...

მოკლედ, ის მითხრა, ჭკვიანად უნდა იყოო, ხოლო ჭკვიანად ყოფნა იმ დროს რასაც ნიშნავდა, ძნელი მოსახვედრი არ უნდა იყოს.

მე იმდენად „დავუჯერე“, რომ მეორე დღესვე დავბეჭდე სტატია სათაურით: „ჟურნალისტის ბედი საქართველოში.“

ჩვენმა ერთ-ერთმა კოლეგამ, იმ დროს ძალიან გავლენიანმა, მითხრა: თენგიზ სიგუა ამბობს, რას გვერჩის ეს ჭუმბურიძე, რედაქციები ხომ გავათავისუფლეთო.

იგულისხმებოდა რედაქციების „შეპესეებად“ დანაწილება, საწესდებო კაპიტალისა და ფართის გარეშე, რასაც საბოლოოდ შენობიდან ჩვენი გამოძევება მოჰყვა.

აი, ასეთი „თავისუფლება“ მოგვიტანა ხუნტამ, რომლის ერთ-ერთი ავტომატიანი წარმომადგენელი არჩილ იოსელიანიც ბრძანდებოდა.

* * *

მერე ისე მოხდა, რომ ჩვენი ორბიტიდან გაქრა.

დროდადრო გამხსენებია და მიფიქრია: „სად არის ახლა ის ბიჭი?“

ბუნებრივია, ამას ჭადარი ვერ მეტყოდა...

და, აი, ამდენი წლის შემდეგ, გაზეთმა მითხრა — 20 მარტის „საქართველოს რესპუბლიკამ“.

უფრო ზუსტად, თვითონ გვითხრა ამ გაზეთის მეშვეობით:

„პარტია სოციალური სამართლიანობის კავშირის“ თავმჯდომარე ბრძანებულა.

თან პარტია და თან კავშირი?!

უნებურად, ილიასეულ სარკაზმს გაგვახსენებს („ხელი გავიქნიე ფეხი“), უფრო უცნაური კი ის არის, რასაც გაზეთში წერს და მოითხოვს.

ჯერ სათაური ვნახოთ: **„რუსეთის ჯაშუშებს გაზეთის ფურცლები არ უნდა ეთმობოდეთ!“**

ასეთ დროს, თემურ მეტრეველი ილიასეულად შესძახებდა: „ბატონო, ეს ოსმალეთია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია. უპირველესად, ევროპის ფანდარმინოზეფ ულეა ჩამოვარდნილი ფორმა, შუადღეში მოელი კავკასია, შუა აზია, აზიისეთი, უკრაინა, ბელარუსი და ბალტიისპირეთის ქვეყნები. ამ გეგმის შესრულებას ხელ შეუშლია ჯერ პირველი მსოფლიო ომმა, შემდეგ, კი — მეორეს. ეინც სიცარნესეულად ნოდავს ნოდავს ბოლოს, ეს ეგეც გაწანალეა, ამიტომაც ლუტფადთ კრემლის ხელმძღვანელობას, რომ ოტყიოთ, თავის ფესვნა.

არ არის გამორიცხული, პატარა სახელმწიფოს დიდი საფრთხე შეექმნა, მაგრამ ისაც ფიქრობ, ბატონო სარეთო კეთილდღეობისთვის იაკენის და ისეთ ადგილიოფ სახელმწიფოს, როგორიც რიგ რუსეთია, მაგალ მკარნერეფილოფნი ერეშის ჩაყალმაკის მადას დაუკარგავს.

შეიძლება, ზემოხსენებულფი ჯაშუშები შემოსულიყოს და მოიხრნან, ეს ეგეც საბმარილია, როგა მოელი კიკობრინობა რუსეთის წინააღმდეგ ადგება, ამიტომ, ფაკულტეტით რეფერეს ჯაშუშებად, რადგან უსაბარონელა ერთის წინააღმდეგ მრავალი სახელმწიფოს ნასვლა.

ჭიპაშვილო გეგონქოკეს, საბჭოთა კავშირის პირობებში საქართველელ დიდ შედეგებს მიაღწიო. ეს ეგე არანაირია, ოფ მეოდე სიტყვრეს დასაბერსნა, სადარ თვალელს მოსაბლეობა შეეგრად ალეკმაბ ბოდა კიეკსიიანი ფესოოერეფი ერეშის მოსაბლეობა, ამგვარად კი ეზოერეფადნის მოსაბლეობა შეადგენს 10 მილიონს, ხოლო სოფლეთისა — 4,5 მილიონს, სადარნელ მოსაბლეობის რაოდენობა კი — 3,7 მილიონამდე დიეცეან ასეთო ცვლილეებაც, ძირითადად შედეგია რუსეთის ასი მილიონიანი პოლიტიკანი.

ჯაშუშებზე ვრცელად წერა მკითხველისოფის ძალზე ალბაშეოოფეტელი იქნება, ამატო ამ ეკლიფეერსა სსეი გარეთფეტა რომ ორ გამოინეოოს, მაინც წერას ვნდებ.

აარჩილ იოსელიანი,
პარაკა სოციალური სამართლიანობის კავშირის თავმჯდომარე, ეფხანეთის ომის ვეტერანი, ყოფილი პარლამენტარი.

რუსეთის ჯაშუშებს გაზეთის ფურცლები არ უნდა ეთმობოდეთ!

საბრალოდ, ჯაშუშებს სხვადასხვა დავალებანი შესრულებია ეკისრებიათ. არიან ჯაშუშები, რომელთაც ეკიდებიან ხიდებს ადეკვატნი, სამხედრო ბაზებიდან სათვალთვალო დოკუმენტების ბოიპარგი, ხელისუფლებაში მაკინიციების მეშვეობით რაიმე თანამდებობის მოცემა და შემდეგომ სახელმწიფო საიდუმლოების მოცემა. მაგრამ ყველაზე სამაწინო არიან ის ჯაშუშები, რომლებიც ხალხში პროპაგანდას ეწევიან, ზეგეს შემოხვევიანი, რომელთა სახელმწიფოს პოლიტიკის საბრალებელია.

იმეორთ შემთხვევას წარმოადგენს, რომელსაც ქვეყნის რომელიმე გაზეთის ზემოხსენებულ ჯაშუშებს გაზეთის ფურცლებს უთმობს. მით უმეტეს ისეთი გაზეთი, როგორიც „საქართველოს რესპუბლიკაა“. ეკითხეთა, რომ ეს გაზეთი დაარსებულია 1918 წელს და ეგზომ ბალეგადა ინგამინდელი ხელისუფლების პოლიტიკას: სნორეფდ ნოე ჟორდანიამ დაიქეკიდარი გამონთქვამი — „რუსეთუფ“, სნორეფდ 1921 წლის თებერვალში ნოთელი არსოლის დეფაზეზეეი შემოეკისა საქართველოს და დაიიპარო იეი; სნორეფდ სტალინმა განაეგზავნა ოფიციალურად გაზეთ „ჩრიდდაგლ“ შემეკითხა, როგორაც საქართველელ მთავრობამ მარეხის სამშეადგომო კოფეფერენციას 1919 წელის 14 მარტს გაეგზავნი ნერილი, სადაც მოთერობა მოითხოოდეა ამ ნერილში აკენ ბნულ საზლეკრებში საქართველელის ტერიტორიის ალიარებაში, თითქოს საქართველოს სურს თურქეთის და სხვა ძეროპელი სახელმწიფოფების ტერიტორიების მიტაცება. ზეეი თუ არ ეჯალნი, ნოიკითხეთ სტალინის თხზუულებათა მე-5 ტომი. ამის შესახებ იქ წერია. საერთოდ, ეს ტომი მთლიანად ქართველების ლანძღვა-გინებით არის გაჯერებული. „ბატონო, პარტია „სოციალური სამართლიანობის დაცვის“ მესვეურო, სპეციალურად წავედი საჯარო ბიბლიოთეკაში, რათა მენახა ეს მე-5 ტომი, რომ პირადად დავრწმუნებულიყავი სტალინის ანტიქართველობაში! მაგრამ იქ ვერ ვნახე სტალინის მიერ ქართველების ლანძღვა-გინება!!! ამ ტომში, სადაც კი სიტყვა ქართველი დავინახე, ყველა ამოვაბეჭდინე და სახლში უფრო დაკვირვებით წავიკითხე, მაგრამ რასაც ამბობთ, მე ვერ მივაგენი! იქნებ, მოიღოთ მოწყალება და მიკარნახოთ უშუალოდ ის ტომი და მისი შესაბამისი გვერდები, სადაც თქვენს მიერ მოხმობილი ფრაზები წერია! ასე მიკერძოებით იცავთ სოციალურ სამართლიანობას? ადამიანებისადმი ზიზღმა არ უნდა გათქმევინოთ ის, რაც არ შეეფერება სინამდვილეს! რაც შეეხება ყარსის ავადსახსენებელ ხელშეკრულებას, სტალინმა შესანიშნავად იცოდა სიფილისით დაავადებული ლენინის მიერ გატარებული ანტისაკაცობრიო პოლიტიკის შესახებ. მან ქართველები კი არა, მაშინდელი რუსული ინტელიგენცია მართლმადიდებელ სამღვდელოებასთან ერთად მთლიანად გაანადგურა და ზედ მიაყოლა იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ოჯახთან ერთად! თქვენ იცით ლენინის ნამდვილი წარმომავლობა? წაიკითხეთ სომეხი ჟურნალისტის მარიეტა შაგინიანის ვრცელი წერილი, გაზეთ „ნედელიაში“ და იქ ნახავთ, ეს გერმანელების ერთგული ჯაშუში(!) როგორ მოევლინა ქვეყანას! მისი ნამდვილი მამა ვინ იყო, არავინ იცის, ვილაც ხელოსნოფფლებში ვერ მოვიგონდა. მან ნელნელ დაიჩეკა — შეკარნანიც ამეკა“ რა სეპარატისტებს თითქოს ვერ ამჩნევენ და საყრონა მისი გადაეკეტნა, რათა საქართველოს შემადგენლობა დაწარეკინა შემრეფდეს.

მე, რასაკვირველია, რუსეთისა ნერგიალური ფარეფერეფლეა და ფარეფერეფ ბოლოტკაც: სნორეფდ ნოე ჟორდანიამ დაიქეკიდარი გამონთქვამი — „რუსეთუფ“, სნორეფდ 1921 წლის თებერვალში ნოთელი არსოლის დეფაზეზეეი შემოეკისა საქართველელ და დაიიპარო იეი; სნორეფდ სტალინმა განაეგზავნა ოფიციალურად გაზეთ „ჩრიდდაგლ“ შემეკითხა, როგორაც საქართველელ მთავრობამ მარეხის სამშეადგომო კოფეფერენციას 1919 წელის 14 მარტს გაეგზავნი ნერილი, სადაც მოთერობა მოითხოოდეა ამ ნერილში აკენ ბნულ საზლეკრებში საქართველელის ტერიტორიის ალიარებაში, თითქოს საქართველოს სურს თურქეთის და სხვა ძეროპელი სახელმწიფოფების ტერიტორიების მიტაცება. ეზეი თუ არ ეჯალნი, ნოიკითხეთ სტალინის თხზუულებათა მე-5 ტომი. ამის შესახებ იქ წერია. საერთოდ, ეს ტომი მთლიანად ქართველების ლანძღვა-გინებით არის გაჯერებული. „ბატონო, პარტია „სოციალური სამართლიანობის დაცვის“ მესვეურო, სპეციალურად წავედი საჯარო ბიბლიოთეკაში, რათა მენახა ეს მე-5 ტომი, რომ პირადად დავრწმუნებულიყავი სტალინის ანტიქართველობაში! მაგრამ იქ ვერ ვნახე სტალინის მიერ ქართველების ლანძღვა-გინება!!! ამ ტომში, სადაც კი სიტყვა ქართველი დავინახე, ყველა ამოვაბეჭდინე და სახლში უფრო დაკვირვებით წავიკითხე, მაგრამ რასაც ამბობთ, მე ვერ მივაგენი! იქნებ, მოიღოთ მოწყალება და მიკარნახოთ უშუალოდ ის ტომი და მისი შესაბამისი გვერდები, სადაც თქვენს მიერ მოხმობილი ფრაზები წერია! ასე მიკერძოებით იცავთ სოციალურ სამართლიანობას? ადამიანებისადმი ზიზღმა არ უნდა გათქმევინოთ ის, რაც არ შეეფერება სინამდვილეს! რაც შეეხება ყარსის ავადსახსენებელ ხელშეკრულებას, სტალინმა შესანიშნავად იცოდა სიფილისით დაავადებული ლენინის მიერ გატარებული ანტისაკაცობრიო პოლიტიკის შესახებ. მან ქართველები კი არა, მაშინდელი რუსული ინტელიგენცია მართლმადიდებელ სამღვდელოებასთან ერთად მთლიანად გაანადგურა და ზედ მიაყოლა იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ოჯახთან ერთად! თქვენ იცით ლენინის ნამდვილი წარმომავლობა? წაიკითხეთ სომეხი ჟურნალისტის მარიეტა შაგინიანის ვრცელი წერილი, გაზეთ „ნედელიაში“ და იქ ნახავთ, ეს გერმანელების ერთგული ჯაშუში(!) როგორ მოევლინა ქვეყანას! მისი ნამდვილი მამა ვინ იყო, არავინ იცის, ვილაც ხელოსნოფფლებში ვერ მოვიგონდა. ამან ნელნელ დაიჩეკა — შეკარნანიც ამეკა“ რა სეპარატისტებს თითქოს ვერ ამჩნევენ და საყრონა მისი გადაეკეტნა, რათა საქართველოს შემადგენლობა დაწარეკინა შემრეფდეს.

მე, რასაკვირველია, რუსეთისა ნერგიალური ფარეფერეფლეა და ფარეფერეფ ბოლოტკაც: სნორეფდ ნოე ჟორდანიამ დაიქეკიდარი გამონთქვამი — „რუსეთუფ“, სნორეფდ 1921 წლის თებერვალში ნოთელი არსოლის დეფაზეზეეი შემოეკისა საქართველელ და დაიიპარო იეი; სნორეფდ სტალინმა განაეგზავნა ოფიციალურად გაზეთ „ჩრიდდაგლ“ შემეკითხა, როგორაც საქართველელ მთავრობამ მარეხის სამშეადგომო კოფეფერენციას 1919 წელის 14 მარტს გაეგზავნი ნერილი, სადაც მოთერობა მოითხოოდეა ამ ნერილში აკენ ბნულ საზლეკრებში საქართველელის ტერიტორიის ალიარებაში, თითქოს საქართველოს სურს თურქეთის და სხვა ძეროპელი სახელმწიფოფების ტერიტორიების მიტაცება. ეზეი თუ არ ეჯალნი, ნოიკითხეთ სტალინის თხზუულებათა მე-5 ტომი. ამის შესახებ იქ წერია. საერთოდ, ეს ტომი მთლიანად ქართველების ლანძღვა-გინებით არის გაჯერებული. „ბატონო, პარტია „სოციალური სამართლიანობის დაცვის“ მესვეურო, სპეციალურად წავედი საჯარო ბიბლიოთეკაში, რათა მენახა ეს მე-5 ტომი, რომ პირადად დავრწმუნებულიყავი სტალინის ანტიქართველობაში! მაგრამ იქ ვერ ვნახე სტალინის მიერ ქართველების ლანძღვა-გინება!!! ამ ტომში, სადაც კი სიტყვა ქართველი დავინახე, ყველა ამოვაბეჭდინე და სახლში უფრო დაკვირვებით წავიკითხე, მაგრამ რასაც ამბობთ, მე ვერ მივაგენი! იქნებ, მოიღოთ მოწყალება და მიკარნახოთ უშუალოდ ის ტომი და მისი შესაბამისი გვერდები, სადაც თქვენს მიერ მოხმობილი ფრაზები წერია! ასე მიკერძოებით იცავთ სოციალურ სამართლიანობას? ადამიანებისადმი ზიზღმა არ უნდა გათქმევინოთ ის, რაც არ შეეფერება სინამდვილეს! რაც შეეხება ყარსის ავადსახსენებელ ხელშეკრულებას, სტალინმა შესანიშნავად იცოდა სიფილისით დაავადებული ლენინის მიერ გატარებული ანტისაკაცობრიო პოლიტიკის შესახებ. მან ქართველები კი არა, მაშინდელი რუსული ინტელიგენცია მართლმადიდებელ სამღვდელოებასთან ერთად მთლიანად გაანადგურა და ზედ მიაყოლა იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ოჯახთან ერთად! თქვენ იცით ლენინის ნამდვილი წარმომავლობა? წაიკითხეთ სომეხი ჟურნალისტის მარიეტა შაგინიანის ვრცელი წერილი, გაზეთ „ნედელიაში“ და იქ ნახავთ, ეს გერმანელების ერთგული ჯაშუში(!) როგორ მოევლინა ქვეყანას! მისი ნამდვილი მამა ვინ იყო, არავინ იცის, ვილაც ხელოსნოფფლებში ვერ მოვიგონდა. ამან ნელნელ დაიჩეკა — შეკარნანიც ამეკა“ რა სეპარატისტებს თითქოს ვერ ამჩნევენ და საყრონა მისი გადაეკეტნა, რათა საქართველოს შემადგენლობა დაწარეკინა შემრეფდეს.

მე, რასაკვირველია, რუსეთისა ნერგიალური ფარეფერეფლეა და ფარეფერეფ ბოლოტკაც: სნორეფდ ნოე ჟორდანიამ დაიქეკიდარი გამონთქვამი — „რუსეთუფ“, სნორეფდ 1921 წლის თებერვალში ნოთელი არსოლის დეფაზეზეეი შემოეკისა საქართველელ და დაიიპარო იეი; სნორეფდ სტალინმა განაეგზავნა ოფიციალურად გაზეთ „ჩრიდდაგლ“ შემეკითხა, როგორაც საქართველელ მთავრობამ მარეხის სამშეადგომო კოფეფერენციას 1919 წელის 14 მარტს გაეგზავნი ნერილი, სადაც მოთერობა მოითხოოდეა ამ ნერილში აკენ ბნულ საზლეკრებში საქართველელის ტერიტორიის ალიარებაში, თითქოს საქართველოს სურს თურქეთის და სხვა ძეროპელი სახელმწიფოფების ტერიტორიების მიტაცება. ეზეი თუ არ ეჯალნი, ნოიკითხეთ სტალინის თხზუულებათა მე-5 ტომი. ამის შესახებ იქ წერია. საერთოდ, ეს ტომი მთლიანად ქართველების ლანძღვა-გინებით არის გაჯერებული. „ბატონო, პარტია „სოციალური სამართლიანობის დაცვის“ მესვეურო, სპეციალურად წავედი საჯარო ბიბლიოთეკაში, რათა მენახა ეს მე-5 ტომი, რომ პირადად დავრწმუნებულიყავი სტალინის ანტიქართველობაში! მაგრამ იქ ვერ ვნახე სტალინის მიერ ქართველების ლანძღვა-გინება!!! ამ ტომში, სადაც კი სიტყვა ქართველი დავინახე, ყველა ამოვაბეჭდინე და სახლში უფრო დაკვირვებით წავიკითხე, მაგრამ რასაც ამბობთ, მე ვერ მივაგენი! იქნებ, მოიღოთ მოწყალება და მიკარნახოთ უშუალოდ ის ტომი და მისი შესაბამისი გვერდები, სადაც თქვენს მიერ მოხმობილი ფრაზები წერია! ასე მიკერძოებით იცავთ სოციალურ სამართლიანობას? ადამიანებისადმი ზიზღმა არ უნდა გათქმევინოთ ის, რაც არ შეეფერება სინამდვილეს! რაც შეეხება ყარსის ავადსახსენებელ ხელშეკრულებას, სტალინმა შესანიშნავად იცოდა სიფილისით დაავადებული ლენინის მიერ გატარებული ანტისაკაცობრიო პოლიტიკის შესახებ. მან ქართველები კი არა, მაშინდელი რუსული ინტელიგენცია მართლმადიდებელ სამღვდელოებასთან ერთად მთლიანად გაანადგურა და ზედ მიაყოლა იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ოჯახთან ერთად! თქვენ იცით ლენინის ნამდვილი წარმომავლობა? წაიკითხეთ სომეხი ჟურნალისტის მარიეტა შაგინიანის ვრცელი წერილი, გაზეთ „ნედელიაში“ და იქ ნახავთ, ეს გერმანელების ერთგული ჯაშუში(!) როგორ მოევლინა ქვეყანას! მისი ნამდვილი მამა ვინ იყო, არავინ იცის, ვი-

ჯაშუში სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით სხვათა ენაა, ქართულად მსტოვარი და აეშაგი ჰქვიან! ხოლო, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, არაბული სიტყვაა და ნიშნავს საიდუმლო აგენტს, რომელიც ჯაშუშობას ეწევა!

ბატონო არჩილ, ადამიანს, როდესაც ვინმეს ან რამის მიმართ ბოღმა ამოძრავებს, ის კარგავს მოვლენების რეალურად აღქმის უნარს, რაც აშკარად გამოჩნდა თქვენს წერილში, რომელიც გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“, სადაც კარგად ჩანს ვიღაცებზე განაწყენებული კაცის პოზიცია! ამ გაზეთის გარდა, თქვენს მიერ შერისხული ბატონები, თავიანთ წერილებს, აქვეყნებენ გაზეთებში: „საქართველო და მსოფლიო“, „ილორი“! აგრეთვე ამ შინაარსის წერილებს ხშირად „ასავალ-დასავალიც“ ბეჭდავს! მინდა, გითხრათ, რომ ამ ბატონებს „ვიზუალურად“ არც ვიცნობ, ვიცნობ მხოლოდ მათი წერილებით და სრულად ვიზიარებ მათ ცხოვრებისეულ მრწამსს! ამ ხალხს არ გააჩნია არანაირი პოლიტიკური პარტია, რომლის დირექტივებსაც, იქნებიან დაქვემდებარებულები! ახლა რაც შეეხება უშუალოდ თქვენს წერილს.

წერილს იწყებთ იმით, რომ გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, ნოე ჟორდანიას მთავრობის მიერ. ეს ის ჟორდანიაა, რომელიც აღმერთებდა (ფარულად) ლენინს, იმ ლენინს, რომელმაც ოსმალო ათა თურქთან ერთად 1921 წლის 13 ოქტომბერს, ყარსში, რუსეთ-თურქეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (და, რომ არა თქვენს მიერ დაუძინებელ მტრად გამოცხადებული იოსებ სტალინი), თურქებს, ყველაფერთან ერთად, ბათუმიც მიჰქონდათ! თუ რა წვლილი მიუძღვის იოსებ სტალინს და ლავრენტი ბერიას საქართველოს მიმართ, უფრო ადეკვატნი ვიქნებით, ოდესმე, ოდესმეს, ეროვნული ბიბლიოთეკიდან ამ ინფორმაციის ამოღებას, ბოლო ოცეული ნლეფი ეროვნული ბიბლიოთეკიდან

„იქნებ, მართლა სჯობს ასჯერ გაზომვა?!“

ეს წერილი თითქმის დამთავრებული მქონდა, როდესაც შევიტყვე დიდად გულსატკენი ამბავი ბატონი ანზორ ბაბუხადიას მოულოდნელი გარდაცვალებისა, რაც ნამდვილად დიდი დანაკლისია ჩვენი საზოგადოებისათვის. ამის გამო მისი გამოქვეყნება ეთიკური თვალსაზრისით, არ იქნებოდა, ალბათ, გამართლებული და ავიღე კიდეც ხელი ამ განზრახვაზე, თუმცა, ვივარაუდე, რომ ბ-ნი ანზორის იდეას გარკვეული მხარდაჭერა ექნებოდა საზოგადოების ნაწილის მხრიდან და ჩავთვალე, რომ საკითხის საბოლოო გარკვევის აუცილებლობიდან გამომდინარე, არ იქნებოდა მართებული იდეის ავტორისაგან განსხვავებული მოსაზრებების უგულებელყოფა.

ბატონმა ანზორ ბაბუხადიამ, რომლის მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს პუბლიცისტიკაც წარმოადგენდა, წამოაყენა იდეა („საქ. რესპუბლიკა“, 2014 წლის 15 აგვისტო, №162-163) იმის შესახებ, რომ სადღეისოდ სხვადასხვა ენაში დამკვიდრებულ „გრუზიას“, „ჯორჯიას“, „გურჯისტანის“, „ვრასტანისა“ და სხვა მსგავს სიტყვათა ნაცვლად საერთაშორისო დონეზე დაკანონებულიყო „ქართველის“, „საქართველოსა“ და მათგან წარმოებული სიტყვების ხმარება. ამ იდეის პოპულარიზაციას ბ-მა ანზორმა რამდენიმე წერილი მიუძღვნა და მას ისეთი ავტორიტეტიც გამოექომაგა, როგორიც ქ-ნი მარიკა ლორთქიფანიძე ბრძანდებოდა („საქ. რესპუბლიკა“, 2014 წლის 21 აგვისტო, №168), რამაც თითქმის უპერსპექტივო გახადა შეპასუხების მცდელობაც კი. ბ-ნ ანზორს ისიც აქვს გაცხადებული, რომ: „საჭიროდ ვთვლი კვლავ გავიმეორო ჩემი მრავალგზის ნათქვამი, რომ ჯერ არ შემხვედრია ვინმე, ვინც რაიმე სერიოზულ არგუმენტებზე დაყრდნობით ეწინააღმდეგებოდეს ჩვენი იდეის ხორცშესხმას“. („საქ. რესპუბლიკა“, 2017 წლის 21 სექტემბერი, №193). მე ასეთი რამ ცოტა უცნაურად მომეჩვენა და რადგან ამ იდეის განხორციელების შესაძლებლობის მიმართ თავიდანვე სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, მას შემდეგ, რაც ბ-მა ანზორმა საკითხის გადაწყვეტაში ჩარევის თხოვნით ქართული ენის სახელმწიფო დეპარტამენტის სახით უკვე ხელისუფლებას მიმართა („საქ. რესპუბლიკა“, 2017 წლის 21 ნოემბერი, №237), ჩავთვალე, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა საკითხის მიმართ საზოგადოების საერთო აზრის ჩამოყალიბება წინამდებარე გამოძახილიც ამ მიზანს ემსახურება.

დავიწყოთ იმით, რომ არა მგონია, წამოყენებული იდეა საჯარო განხილვის შედეგად საყოველთაოდ იქნას მოწონებული. მაგრამ კიდეც რომ მოიძებნოს ტოტალური კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობა და ხელისუფლებამ მიიღოს გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისადაც საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს ყველა(!) ქვეყნის სათანადო უწყებას თხოვნით — დააკანონონ მათ ქვეყანაში „საქართველოსა“ და „ქართველის“ ხმარება, ვარაუდის დონეზე მაინც არ უნდა გავიაზროთ — რას გვიპასუხებენ? ვარიანტი, ჩემი აზრით, რამდენიმე შეიძლება იყოს:

— „ეს რა კარგი აზრი მოგსვლიათ, აუცილებლად მივიღებთ ამ მიმართულებით საერთაშორისო დიპლომატიის მოქმედი ნორმების შესაბამის ყველა ზომას თქვენი თხოვნის დასაკმაყოფილებლადო“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ საქმის დოსიეს თაროზე შემოდებენ და **აღარასოდეს** დაუბრუნდებიან მას;

— „თქვენი მოტივაცია გასაგებია, მაგრამ ჩვენ დემოკრატიული ქვეყანა ვართ და ასეთ საკითხებს ხალხის აზრის გათვალისწინების გარეშე არ ვწყვეტთ. ჩავატარებთ გამოკითხვას და შესაბამისად ვიმოქმედებთ“. რას ფიქრობთ — როგორი იქნება ამის საბოლოო შედეგი?

— „ჩვენ თანახმა ვართ, ძალისხმევა არ დავიშუროთ თქვენი თხოვნის რეალიზაციისთვის, ოღონდ ერთი პირობით — თქვენც ყველაფერი უნდა გააკეთოთ ჩვენი იდენტური წინადადების შესასრულებლად“. არ არის განა ლოგიკური ამის ვარაუდი? ვფიქრობ, რომ ეს — პასუხის ყველაზე პრაგმატული ვარიანტია და მასზე ჩვენი დადებითი რეაქციის შემთხვევაში პრობლემის სირთულის უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად მხოლოდ სამ მაგალითზე შევაჩერებ ყურადღებას:

— რამდენადაც ვიცი, ფინელები თავის ქვეყანას უწოდებენ — „სუომი“-ს. იქნებ ვინმემ მითხრას — როგორ მოგვიწევს ამის მერე „ფინელი ხალხის“, „ფინური აბანოსა“ და ა.შ. წერა?

— ბავშვობისას ეზოში (ქუჩაში) ნასწავლი სომხურიდან მხოლოდ რამდენიმე სიტყვაღა შემორჩა მეხსიერებას და, ამდენად, დამოუკიდებლად იმის მიხვედრა თუ როგორ უნდა გამოვთქვა (ან — დავწერო) ქართულად ამას იქით „სომეხი“, „სომხური“, „სომეხი ხალხი“, „სომხები“ — არ ძალმიძს! ასე ხომ არა — „ჰაერენ — ჩვენი მეზობელი ხალხია“?

— გერმანელები თავის ქვეყანას „დოიჩლანდ“-ს ეძახიან. ჩვენც ამას იქით, შესაბამისად, „უდიდესი გერმანელი პოეტის (მეცნიერის, კომპოზიტორის...)“ ნაცვლად „უდიდესი დოიჩლანდელი პოეტი (მეცნიერი, კომპოზიტორი, ...)“ უნდა ვწეროთ და ვიძახოთ?

არ უნდა დაგვავიწყდეს, ამასთანავე, რომ საქართველო წევრია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისა (გაერო, ვაჭრობის, ჯანდაცვის და ა.შ.), რომლებიც, ევროკავშირისგან განსხვავებით, ორასამდე (!) ქვეყანას აერთიანებენ და ასეთი მოთხოვნა მათაც უნდა წავუყენოთ! ისინი ზრდილობიანი ხალხია და პასუხს აუცილებლად გაგვცემენ, მაგრამ როგორი იქნება ის? დიახ, თქვენი ვარაუდი სწორია — იგი იქნება კორექტული და, ამავე დროს, მათი წესდებებიდან გამომდინარე, ჩვენთვის კი... არანაირი სარგებლის მომტანი.

რადგან საქართველოს უახლოესი მიზანი ევროკავშირში გაწევრებაა, ჩვენ იმ 28 ქვეყნის რეაქციაც ხომ უნდა განვჭვრიტოთ, მათ კავშირში ჩვენი მიღების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას რომ უნდა მისცენ ხმა. აქვს კი ვინმეს ჩვენი გულისათვის ასატკივებელი თავი?

პრობლემის სპეციფიკურობის უფრო მკაფიოდ წარმოჩენისათვის, ვფიქრობ, სასარგებლო უნდა იყოს დავფიქრდეთ, მაგალითად, როგორ უნდა მოვიხსენიოთ შოტლანდიელები, როგორც „სკოტი ხალხი“ თუ „სკოტები“? არის ასეთი სახელმწიფო — „პრინციპი და ტობაგო“ — ნეტა თუ იცის ვინმემ — როგორ ჟღერს მათ ენაზე ეს დასახელება?

უცხოეთის სახელმწიფოებს ეს რომ მართლაც თავსატეხ პრობლემად გადაექცევათ, ამას ასეთი ცნობაც ადასტურებს: „ლიტვა საქართველოს ავთენტურ სახელწოდებად 4 ვარიანტს განიხილავს: („საქ. რესპუბლიკა“, №63, 2017 წლის 29 დეკემბერი): „ქართველია“, „ქართველა“, „საქართველია“, „საქართველა“! მკითხველი დამეთანხმება, ალბათ, რომ თუმცა ოთხივე ვარიანტში ფიგურირებს სამსჯელო სიტყვების საერთო ფუძე — „ქართველ“ — არა მგონია, რომელიმე მათგანი აღფრთოვანებას იწვევდეს. განა, ბატონი ანზორი ასე თავგამოდებით ამისთვის იღვწოდა?

პირველივე კითხვა, რომელიც ამ ინფორმაციის გაცნობისას აუცილებლად ყველას დაებადება, არის ასეთი: თუ ლიტვის სეიმი უკვე 10 წელია, ამ საკითხზე მუშაობს, საინტერესოა — ვის მიერ დაისვა მათ წინაშე ის?

რაც შეეხება იმას, რომ ლიტველები ამდენი ხანია მუშაობენ ამ საკითხზე და ჯერაც ვერ გარკვეულან მის არსში (რაზეც მათ მიერ მსჯელობის საგნად მიჩნეული ოთხი ვარიანტი მეტყველებს), პირადად მე კიდევ უფრო მარწმუნებს იმაში, რომ ამ თხოვნით ჩვენ ახალ „თავსატეხს“ ვუჩენთ უცხო სახელმწიფოებს, პირველ რიგში კი — ჩვენს მიმართ მეგობრულად განწყობილებს — მათ რაღას ვერჩით? ასეც არ იყოს, ნუთუ ვინმე სერიოზულად ფიქრობს, რომ ქართველი ხალხის აზროვნებაში, წერა-კითხვის კულტურაში, სალაპარაკო ენაში დამკვიდრებული უამრავი სიტყვის შეცვლა შეიძლება რეალურ დროში განხორციელდეს, მაშინ, როდესაც **„ქუხნისა“** და **„ბალკომისათვის“** ვერ მოგვივლია საუკუნეზე მეტი ხანია?! ასევე ძნელი წარმოსადგენია ბედუკულმართობის გამო უცხოეთში (თუნდაც — მეზობელ რუსეთში) აღმოჩენილი ეთნიკური წარმომავლობის ქართველების მხრიდან „Грузинский народ“-ის მაგიერ „Картвели народ“-ის ხმარება! ეს ხომ უტოპიაა!

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ინოვაციას მეწყერივით მოჰყვება სხვა მოთხოვნებიც, მათ შორის — წარმოსადგენადაც კი მიუღებელი! ხომ შეიძლება, მაგალითად, ვინმემ, ამ იდეასაყოლილმა, ქართულ ენაში „სამეგრელოს“ ნაცვლად „სამარგალოს“ ხმარება მოითხოვოს! უამრავი იქნება მოთხოვნა (ზოგ შემთხვევაში, იქნებ, გამართლებულიც) ქალაქების, დაბების, ქუჩებისა და სხვა დასახელებების შეცვლისაც. მსგავსი ფსევდოპატრიოტიზმის ბევრ შემთხვევას ჰქონდა ადგილი 90-იანი წლების დასაწყისში და სწორედ ამის ფონზე იქნა მაშინ მიღებული ზოგი, ვფიქრობ, — არასწორი, გადაწყვეტილება.

პრობლემა აშკარად „მრავალპლანიანია“ და იგი ბევრი კუთხით საჭიროებს ზედმიწევნით შესწავლასა და განხილვას, განსაკუთრებით იმიტომ, რომ უცხო ქვეყნების ინტერესებთან აქვს შემხებლობა, ამ სფეროში კი პოლიტიკა იუველური სიზუსტით უნდა წარიმართებოდეს, რადგან ნებისმიერი შეცდომა ქვეყნისთვის მეტად მტკივნეული შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. აი, მაგალითად, რა სახით „დაგვიბრუნეს“ უკან ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის აღიარების თაობაზე ამერიკის პრეზიდენტის განცხადებასთან დაკავშირებული პოზიცია (როგორც ჩანს, არც თუ ბოლომდე გააზრებული): „არანაირი უსიტყვო მხარდაჭერა საქართველოს საერთაშორისო არენაზე ისრაელის მხრიდან, თუნდაც ტერიტორიული მთლიანობის საკითხში, აღარ ექნება, რუსეთი ადრე თუ გვიან გადაწყვეტს საქართველოს ჩაყლაპვას და ეს ისრაელის თავის ტკივილი აღარ იქნება. ...იერუსალიმი... სამი ათასი წლის წინათ გახდა ისრაელის დედაქალაქი. თუ ქართველებამდე ეს ფაქტი ჯერ არ მოსულა, ...მათი ნებაა. ამიერიდან ჩვენი გზები გაიყარა“ („ასავალ-დასავალი“, 2017 წლის 11-17 დეკემბერი, №50, გვ. 2).

ძალიან მწყდება გული იმაზე, რომ ბ-მა ანზორმა ასეთი უპერსპექტივო საკითხი წამოსწია წინა პლანზე, მაშინ, როდესაც ქვეყანას უამრავი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა აქვს გადასაწყვეტი და რომელთაგანაც ბევრზე თავადვე გაამახვილა ყურადღება თავის წერილებში: „..ერი დემოგრაფიული უფსკრულისკენ მიექანება“ („საქ. რესპუბლიკა“, 2017 წლის 21 ოქტომბერი, №237); „...ღირსეულმა **უფულო** კანდიდატმა უნდა აჯობოს უღირს **ფულიან** კანდიდატს“ („საქ. რესპუბლიკა“, 2017 წლის 4 ივლისი, №132); „..ვიდრე ე.წ. პოლიტიკური პარტიების და მათი „შვილობილი“ ორგანიზაციების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება არ შეწყდება, განსაკუთრებული კონტროლი არ დაწესდება მათი საქმიანობის დაფინანსების წარმომავლობაზე... მანამ ჩვენს ქვეყანას არაფერი ეშველება!“ („საქ. რესპუბლიკა“, 2017 წლის 17 ოქტომბერი, №213) და სხვ.

იხ. 8 გვ.

ევროპის ჟანდარმისთვის უნდა ჩამოეშორებინათ ყირიმი („არის აღსრულდა ოცნება, არის აღსრულდა მიზანი“!), შემდგომში მთელი კავკასია, შუა აზია, ყაზახეთი, უკრაინა, ბელარუსი და ბალტიისპირეთის ქვეყნები.

ამ გეგმის შესრულებას ხელი შეუშალა ჯერ პირველმა მსოფლიო ომმა, შემდეგ კი — მეორემ. ვინც სიღრმისეულად ხედავს მოვლენებს, ეს გეგმა განახლდა, და ამიტომაც აუტყდათ კრემლის ხელმძღვანელობას, რომ იტყვიან, თავის ფხანა. არ არის გამორიცხული, პატარა სახელმწიფოებს დიდი საფრთხე შეექმნათ, მაგრამ რას ვიზამთ, კაცობრიობა საერთო კეთილდღეობისთვის იღვწის და ისეთ აგრესიულ სახელმწიფოს, როგორიც რუსეთია, მალე მცირერიცხოვანი ერების ჩაყლაპვის მადას დაუკარგავს“.

ავდგეთ ფეხზე და მივესალმოთ, ოცდამეერთე საუკუნის ალექსანდრე მაკედონელს, რომელიც მალე მსოფლიო ცივილიზაციას იხსნის დაღუპვისაგან! ბატონო არჩილ, ამას გვიმალავდით და მშვიდად გეძინათ? სად არის თქვენი მამულიშვილური ვალი? ალბათ, იფიქრეთ: „ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. მართალია! რა დაგიშავათ ამ ჭიპაშვილმა? „ჭიპაშვილი გვიმტკიცებს, საბჭოთა კავშირის პირობებში საქართველომ დიდ შედეგებს მიაღწიაო. ესეც არასწორია, თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მოსახლეობა ბევრად აღემატებოდა(?) კავკასიაში მცხოვრები ერების მოსახლეობას, ამჟამად კი აზერბაიჯანის მოსახლეობა შეადგენს 10 მილიონს, ხოლო სომხეთისა — 4,5 მილიონს, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა კი — 3,7 მილიონამდე დაეცა! ასეთი ცვლილებაც შედეგია რუსეთის ასიმილაციური(?) პოლიტიკისა. რაც ბუნებაში საბჭოთა კავშირი აღარ არის, მას შემდეგ თითქმის 27 წელი გავიდა! ისე, ვისაც ის პერიოდი ახსოვს, დამეთანხმება, რომ საბჭოთა კავშირში, საქართველო ყველაფერში იყო დომინანტი რესპუბლიკა! ვისაც აინტერესებს, გადახედოს იმ დროინდელ პრესასა და სტატისტიკას!

თავში მოგახსენეთ და ამითვე დავამთავრებ! როდესაც ადამიანი აღშფოთებულ-განრისხებულია, მას უჭირს მშვიდად აზროვნება! ასე რომ, ჩემი (როგორც გინდათ, ისე ჩათვალეთ, 82 წლისა გახლავართ!) რჩევა იქნება, ნუ აჰყვებით ნერვებს, ემოციებს, გაუფრთხილდით საკუთარ ჯანმრთელობას, რომელიც სახელის შემდეგ ძალიან ძვირფასია ადამიანისთვის!

ანზორ დანელია,
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის აფხაზეთში წარმოებული ომათამკვლელი ბრძოლების მონაწილე, ორი დაღუპული მებრძოლის მამა. ტელ:571-22-66-34

ასე ამბობდა ნაჰოლეონი

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

პოლიტიკისა და სახელმწიფოს მოწყობის შესახებ

ძველ საბერძნეთში შვიდი ბრძენი ცხოვრობდა, ევროპაში კი ამჟამად წამლადაც არცვინ არა ჩანს.

* * *

სუყოველი კოლონია შეერთებული შტატების მაგალითს გაჰყვება*. მომქანცველი და მოსაწყენია ბრძანებულებათა განიადაგებული ლოდინი მეტროპოლიიდან, ორი ათასი ლიეს მანძილზე რომ მდებარეობს და თანაც კიდევ აუტანელია იმ მთავრობის მორჩილება, უცხოურად რომ გამოიყურება, რამეთუ ძალიან შორს არის და უცილობლად უქვემდებარებს თქვენს მიზნებს ადგლობრივ (თავის) მიზნებს, რამეთუ არ ძალუძს თქვენი გულისთვის თავისი მიზნების გაწირვა. როგორც კი კოლონიები თავს საკმაოდ ძლიერად გრძნობენ, რათა წინააღმდეგობა გასწიონ, ეგრეევე თავიანთ დამაარსებელთა უღლის მოგდებინების სურვილი უჩნდებათ. სამშობლო იქ არის, სადაც ადამიანები ცხოვრობენ: თქვენ სწრაფად ივიწყებთ, რომ თქვენ ანდა მამათქვენი, სხვა ცის ქვეშ დაიბადენით. პატივმოყვარეობა ბოლოს უღებს იმას, რის ქმნასაც მიზანი გაწყებინებდა; ადამიანებს სურთ, რაღაცას წარმოადგენდნენ თავიანთ ჭერქვეშ და უღელი მალე უკვე მოგდებინებულია.

* * *

როს საქმე ფრანგებთან ანდა ქალებთან გაქვს, არ შეიძლება მეტისმეტად დიდი ხნით განშორება. ჭეშმარიტად არ შეიძლება იმის გათვალისწინება, რის ჩაგონება ძალუძთ ინტრიგანთ ადამიანებისთვის და რა შეიძლება რომ მოხდეს, უკეთუ გარკვეული დროის მანძილზე არ ეუწყათ ჩემგან არავითარი რამ ცნობა.

* * *

ფრანგებს ეროვნული ღირსების გრძნობა მუდამ ნაცარწაყრილი უღვივით. საკმარისია ნაპერწკალიც, რომ აბრიალდეს.

* * *

ოდეს ასწლეულები ერთმანეთს ცვლიან, ზუსტად ისე, როგორც ლაშქრობაში, ყოველთვის შეიძლება რომ ჩამორჩენილთ გადაეყარო.

მე ვიხილე იმპერატორი, ეს მსოფლიო სული, როცა ის ქალაქში შემოვიდა. საკვირველი გრძნობა გეუფლება კაცს, როცა ხედავ ასეთ არსებას, ერთ წერტილში თავმოყრილს, ცხენზე შემჯდარს და ამავე დროს მთელი ქვეყნიერების მბრძანებელს.

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი

* * *

ევროპის პოლიტიკური სისტემა სიბრალულს აღძრავს: რაც უფრო მეტად ეუფლები, მით უფრო მეტი შიში გაქვს იმ დამღუპველი შედეგებისა, რომელთაც ეს სისტემა მიგვაყენებს.

* * *

ევროპა ვერ ხედავს, რა და რამდენი რეალური საშიშროება ემუქრება: იგი მხოლოდ იმ შევიწროებას აქცევს ყურადღებას, საზღვაო ომისგან რასაც განიცდის; კაცმა იქნებ იფიქრო კიდეც, ამ უბედური ევროპის მთელი პოლიტიკა და სუყოველი იმისი მიზანი ერთი კასრი შაქრის ფასს უტოლდებაო... ყველანი მარტოოდენ საფრანგეთის წინააღმდეგ ღრიალებენ, ყველანი მარტო იმის ჯარს ხედავენ, თითქოს მუქარა ინგლისის მხრიდან ყოველგან ისეთივე ანდა გაცილებით უარესი არ იყოს.

* * *

მალტის კლდეებიდან ინგლისი უკვე ებატონება თურქეთს, მაშასადამე, შავ ზღვასაც და რუსეთსაც. გიბრალტარში იგი ფლობს ჭიშკარს ხმელთაშუა ზღვაში. უკეთუ ის კორფუს დაიპყრობს, მაშასადამე, მტკიცედ მოიკიდებს ფეხს საბერძნეთში და ადრიატიკის დიასახლისიც კი გახდება. ეს თვალში საცემია, თუმცა არც ავსტრიას და არც რუსეთს იმ საშიშროების დანახვა არ უნდათ, რაც აგრერიგად ემუქრებათ.

* * *

ოდეს მხოლოდ თავიანთი სამამულო შაქრით ჩაიტკბარუნებენ პირს და მხოლოდ თავიანთი საკუთარი ფაბრიკების ნაწარმ წინდებსა და ქსოვილს მოიხმარენ, მაშინ შენიშნავენ პეტერბურგი, ვენა და ბერლინი ინგლისური მონოპოლიის არსებობას. მანამდე ყველანი თვალებს დახუჭავენ, ოღონდაც არ აღიარონ, რომ მე საყოველთაო მიზნებს ვიცავ. კეთილსინდისიერი ადამიანთათვის ეს სავსებით სათვალმჩენოა, მაგრამ სად არიან ჩვენში კეთილსინდისიერი ადამიანები? ევროპის პოლიტიკური სიბრმავე საცოდავი მოვლენაა.

* * *

სავაჭრო მიზნები იმდენად მნიშვნელოვანი არ არის საფრანგეთის ასაყვავებლად, როგორც ამას აზრი აქვს ინგლისისთვის, რომლის არსებობა დაფუძნებულია ვაჭრობაზე.

* * *

ზოგიერთ ზღვისპირა ქალაქში სავაჭრო წრეები იმდენად ეგოისტურნი არიან, რომ უსამართლონი ხდებიან. სულ განიადაგებულ შოვნაზე არიან გადასულნი, თუ სხვანი ზარალზე მუშაობენ, იმათ ფეხებზე ჰკიდიათ.

* * *

ევროპაში სიტყვაც არ იძვრის ადამიანების უფლებებზე, რახან ასეა, ადამიანებს ისღა დარჩენიათ, დადგნენ და ერთმანეთი ხოცონ, ვით ცოფშეყრილი ძაღლები.

* * *

ამბობენ, თითქოს ჩემს დაცემას სიმშვიდე მოჰყვა ევროპაში; მაგრამ ამასთანავე ივიწყებენ, რომ სწორედაც მე უნდა მიმადლოდეს ევროპა თავის სიმშვიდეს რევოლუციის ხომალდი მე წავრმართე თავის საბოლოო მიზნისკენ. ამჟამინდელნი მმართველნი კი უკომპრომისოდ გადიან ზღვაში.

* * *

მოსკოვის კატასტროფის შემდეგ, ცოტას გაწყდა, პოლიტიკურ გვამთ არ მიმათვალეს, მაგრამ ჯერ კიდევ ვრჩებოდით მე თვითონ და ჩემი სახელი. და აი, უკვე სამ თვეში კვლავ აღმოვჩნდი ჩემი ორასი ათასი ჯარისკაცის სათავეში.

** 1776 წელს ცამეტმა ბრიტანელმა კოლონიამ მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია — დაარსდა ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი ახალგაზრდა სახელმწიფოს მხარეს დადგა.

დასასრული. დასაწყისი იხ. №52-59

საღ, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

744 წლის 20 მარტს

არაბთა ერთ-ერთი დამსჯელი ლაშქრობის დროს, თავი მოჰკვეთეს ქართლის ერისმთავარს არჩილს, ერისმთავარ სტეფანოზ III-ის ძეს (VIII ს.| ნახევარი), არაბთა წინააღმდეგ დაუღალავ მებრძოლს. არჩილი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

არაბთა ბატონობა კავკასიაში დიდხანს გაგრძელდა, „ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასრომანთამან“. ხოსროიან მეფეთა განმანათლებელ მირიანისა და ვახტანგ გორგასლის შთამომავალი არჩილ მეფე (ერისმთავარი) განდევნილი გადასულა კახეთში, მაგრამ შემდეგ მისულა არაბებთან, რათა ქვეყნისთვის მშვიდობა გამოეთხოვა. არჩილი შეიპყრეს, მოსთხოვეს ქრისტიანობის უარყოფა. ამად გაისარჯნენ და ბოლოს სიკვდილით დასაჯეს.

1984 წლის 21 მარტს

ჩრდილოეთის ფლოტის შემადგენლობის საბჭოთა ატომურმა წყალქვეშა ნავმა K-314-მა ამერიკა-კორეის ერთობლივი წვრთნების დროს, წყლის ზედაპირზე ამოყვინთვისას გატარნა ამერიკული ავიამზიდი „კიტი ჰოუკი“.

1915 წლის 22 მარტს

„შაითან კაბიტნად“ წოდებულმა რუსეთის არმიის ოფიცერმა კაპიტანმა ტარასი ვაშაკიძემ | მსოფლიო ომში კავკასიის ფრონტზე, სარაყამიშის ოპერაციის დროს თავისი ასეულით დაატყვევა ოსმალთა ჯარის მე-9 კორპუსის სარდალი, სამი დივიზიის უფროსი, 80 ოფიცერი და 1306 ასკერი.

1625 წლის 25 მარტს

გარიჟრაჟზე, მარტყოფის ველზე დაბანაკებულ ყიზილბაშთა 30-ათასიან ჯარს, რომელსაც კახელთა გაწყვეტა და ცოცხლად გადარჩენილთა ირანში გადასახლება ჰქონდა დავალებული ირანის შაჰის აბას I-ისგან, თავს დაესხნენ ქართველთა რაზმები გიორგი სააკაძის მიერ შედგენილი გეგმის შესაბამისად. თვითონ სააკაძემ, იმისმა ვაჟმა ავთანდილმა, ელია დიასამიძემ, პაატა ხერხეულიძემ და გიორგის განუყრელმა მხლებელმა პაპუნა ვაშაყაშვილმა ხმლები იშიშვლეს და სარდალ ყარჩიხა ხანთან თავმოყრილი მტრის ჯარის მეთაურები ამოხოცეს. უსარდლოდ დარჩენილ ლაშქარს ქართველებმა მუსრი გაავლეს. მტრის ბანაკიდან მხოლოდ 3 ათასმა კაცმა უშველა თავს, დანარჩენი გაჟლიტეს. ქართველებს დიდძალი ქონება და იარაღი ჩაუვარდათ ხელში. ავჯანყებულებმა რამდენიმე დღეში ქართლ-კახეთი თითქმის მთლიანად გაწმინდეს ყიზილბაშთაგან.

ზურაბ ლომიძე

ამ კონცერტის შესახებ აფიშები არ იუწყებოდნენ...

მოთხრობა

– გის, გის!

– გრავო, აკაკი!

გრიალებს დარბაზი!

მორჩილი პიანისტი დაუზარებლად უბრუნდება როიალს და დარბაზი უმალვე ყუჩდება სამარისებური სიჩუმით.

– დიდი პიანისტი გვეზრდება...

– ღმერთმა ნუ გამოულიოს საქართველოს ნიჭიერი ადამიანები...

აკაკი ჯერ მხოლოდ კონსერვატორიის სტუდენტია, მაგრამ უკვე ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებენ, არც მოწვევები აკლია სხვადასხვა ქალაქიდან.

კი უჭირს ახალგაზრდა მუსიკოსს, გასწვდეს ოჯახსაც – სახლში ორ შვილს ზრდის, კონსერვატორიაშიც არ უნდა ჩამორჩეს ტოლებს, მაგრამ რა შეედრება აი, ასეთ შეხვედრებს, ტაში რომ ჭერს ხდის და მაყურებელს არ უნდა შენი სცენიდან გასვლა!

მაგრამ, თურმე, ნუ იტყვი, ეს გაჭირვება კი არა, ბედნიერება ყოფილა.

გაჭირვება მერე იკითხე.

მას შემდეგ, რაც ძმებადყოფილებმა აფხაზეთიდან თოფები მიუშვირეს.

თავის თავზე ვინ ფიქრობდა მაშინ. ღმერთმა არ გასწირა. ახლაც არ იცის, როგორ მოახერხა და გადაარჩინა ამ თოფების ცეცხლისაგან თავისი პატარები.

ლტოლვილობისა და დევნილობისაგან მტერიც დაიფაროსო, გაივლებს დროდადრო გულში, თუკი ამისთვის დრო დარჩება როდისმე.

არა, მუსიკისთვის ვიღას სცალია, ნეტავი, უბრალოდ დაანახვა მაინც პიანინო.

თავისი იქ – ვინ იცის, ცოცხალია თუ არა ისევ.

აი, გასაოცარი ისაა, რომ როცა მიტოვებულ სახლს იხსენებს, ყველაზე უწინ მაინც სწორედ თავისი ინსტრუმენტი უტრიალებს გონებაში და თვალებს უწვავს.

ბედნიერია დღეს კაკო. როგორც იქნა იშოვა ბინა – ცოლ-შვილის თავშესაფარი. ნეტავი ერთი – მაღლიდან წვიმა ხომ არ ჩამოსდის. იმას კი რა მნიშვნელობა აქვს, იატაკზე მოთავსდებით შენ და შენი მეუღლე თუ საწოლზე. შვილები ხომ საბანქვეშ არიან.

იშოვა სარჩოს საშოვარიც.

არა აქვს იმას მნიშვნელობა, რომ მთელი ორი წელიწადი დადიოდა ერთი დაწესებულებიდან მეორეში, გაზეთში გამოქვეყნებული არც ერთი განცხადება რომ არ გამოუტოვებია წაუკითხავი.

მთავარია, დღეს ცოლ-შვილი მშიერი აღარა ჰყავს.

ააშენა ღმერთმა ერთი სამშენებლო ორგანიზაცია, თუმცა სამშენებლო ორგანიზაცია რა შუაშია. ის კაცი ააშენოს ღმერთმა, გულთან რომ მიიტანა მისი იერსახეც და მდგომარეობაც გაითვალისწინა. ბევრი ეწვალა, მაგრამ მაინც მიაღებინა აკაკი სამსახურში.

„რა ქნას კაცმა, ხომ იცით, რა დრო აღდგა. მისი სპეციალობა ვის რაში სჭირდება, მთავარია, ლუკმაპური ჰქონდეს. მის პატიოსნებასა და ერთგულებაში ეჭვი არ შეგეპაროთ. თავდებად მე დავუდგები“, – არწმუნებდა თავის უფროსს „ის კაცი“, წარმოდგენაც რომ არ ჰქონია აკაკის წარსულსა და პროფესიაზე.

თლილი, ნაზი და გრძელი, მგრძნობიარე თითები ერთ თვეში მუხის დაკოჟრილ წვრლ-წვრილ ტოტებს დაემსგავსნენ და ნაკვერჩხალსაც ისე აიღებდა, თითქოს ქლიავი მოუწყვეტიაო.

რა კლავიშები, რის კლავიშები. ამდენი წლის შემდეგ აღარც ერთი ნაწარმოები არ ახსოვს ზეპირად. ნოტების წაკითხვა? – შეიძლება ისიც დავიწყებული ჰქონდეს, სად სცალია ამისთვის.

ეს ერთი კვირაა აკაკის სამშენებლო ბრიგადა ერთ-ერთი ძლიერი ბანკის სარემონტო სამუშაოზე გადაისროლეს – მიწისძვრამ დააზიანაო, გადასახდელსაც სხვა ორგანიზაციებივით არ გაგვიჯანჯლებსო...

აგაშენათ ღმერთმა.

თუნდაც იმიტომაც, რომ ეს ბანკი სხვასავით წუწურაქი არ აღმოჩნდა. უფრო მეტიც, თუ სამუშაოს დროზე ადრე დაამთავრებთ და ხარისხიანად, სათანადო პასუხიც ჩვენზე იყოსო.

ჰოდა, ლამის დღე და ღამე გაასწორონ სამუშაოს მოწყურებულმა მშენებელმა თუ მერემონტე მუშებმა, რომ ნახევრად მშიერ-მწყურვალ ცოლ-შვილს ყოფა შეუმსუბუქონ.

– ბიჭებო, – შეკრიბა სამუშაოთა მწარმოებელმა მშენებელ-მერემონტეები, – შევისვენოთ ახლა. დილამდე დავისვენოთ. შეგიძლიათ, სახლებში წახვიდეთ. ამასობაში სამშენებლო მასალაც შემოგვესწრება.

– რაღა დროს სახლში წასვლაა, ღამის ორი საათი სრულდება...

– მე გეტყვი, ტრანსპორტი კართან დაგვხვდება...

– ისევ აქვე მოგვიწევს კუთხეებში ღამის გათევა...

აკაკიც წამოწვა იატაკზე, გადაიფარა ქურთუკი, მაგრამ, თუმცა დაღლილ-დაქანცული იყო, ძილი არ მოეკიდა.

ადგა, გაიარ-გამოიარა. დიდ დარბაზში შევიდა. მაღლიდან ჭერის ლამაზად მორკალური ვიტრაჟები მთვარის შუქით ბრწყინავდა და ვრცელ დარბაზსაც ანათებდა.

დარბაზის კუთხეში როიალი შენიშნა. შეცვა. აქამდე არც მიუქცევია ყურადღება. იფიქრა – მეჩვენებაო.

ახლოს მივიდა. ხელი გადაუსვა. მერე კლავიატურას ახადა სახურავი. ზერელედ დაჰკრა თითები რამდენიმე კლავიშს.

...არ იცის კაკომ, რასა იქმს, ვინ უზის როიალს. იცის მხოლოდ, რომ დარბაზში იღვრება შოპენი, ბეთჰოვენი, ლისტი, რახმანინოვი, ჩაიკოვსკი, ფალიაშვილი, თაქთაქიშვილი... თავად კი ნეტარების მეშვიდე ცაზეა.

და იმავე დარბაზში ქუხს ტაში.

ძველებურად ძლიერად, სულის შემკვრელად.

მუსიკა კი არ წყდება.

მთვარე თავის სონატას ეთამაშება, ეჯიბრება, ეალერსება. არაფერი ამ წუთში არ არსებობს დედამიწაზე ამ ულამაზესი სიყვარულისა და შეჯიბრების მძლეველი, კურთხეულმა კომპოზიტორმა რომ ღვთის კარნახით შექმნა.

– გის, გის!

– გრავო!

აკაკიმ თვალი გაახილა.

ტაში არ წყდება.

გონს მოეგო. გამოფხიზლდა. ის სიზმარში არ ყოფილა. ის ნამდვილად იმ დარბაზში იყო, სადაც როიალი იდგა.

ტაშს კი უკრავდნენ დილით სამსახურში გამოცხადებული ბანკის თანამშრომლები.

აკაკიმ საათისკენ თვალი გააპარა. აუ, რამდენი დრო გასულა. არც გაუგია და სულაც არ დაღლილა.

– შენ აქ რა გინდა, შვილო, შენ დიდი დარბაზები გელოდება! – ეს კონსერვატორიის პროფესორი, სახელგანთქმული მუსიკოსი მიმართავდა, რომელიც დილით თავისი საქმისთვის ბანკში მისულიყო.

მკითხველის ლექსი

როცა პოეზია თითქოს ჟანგბადია...

ნამდვილად სწორი ბრძანა ჩვენმა სომეხმა მეგობარმა პოეტმა – დიდმა თბილისელმა ოვანეს თუმანიანმა: ყველა ქართველი პოეტია, ხოლო ქართველი პოეტი ორჯერ პოეტიაო. სწორედ ერთი ასეთი ქართველის – თეიმურაზ ტატიშვილის რამდენიმე ლექსს გთავაზობთ დღეს. ის მთელი ცხოვრება პედაგოგი იყო იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში და ასევე მთელი ცხოვრება ჟანგბადთან ერთად პოეზიითაც სუნთქავდა. ოღონდ თავის პოეტურ ნაკალმარს არც ბეჭდავდა და არც ვისმეს უკითხავდა. ახლა, როგორც ხედავთ, გაბედა და რედაქციის კარი შემოაღო. ჩვენც კეთილ მასპინძლად დავხვდით და რამდენიმე ლექსი შევურჩიეთ.



საგარეჯოში ერთი სახლია

საგარეჯოში ერთი სახლია,
სახლი, რომელსაც ვაზი ახლია,
და სიყვარულით ცოცხლობს ეპოსი
კოლა პაპის და ნინა ბებოსი.

ნინა და კოლა რაფერ არიან?
საფერებელად საფერავი აქვთ...
ღმერთი ვუხსენოთ; გზას დაგვილოცავს,
სისხლს ყურძნისასა – ვსვამდეთ ღვინოსა.

ცისკარი გაზაფხულისა

კოჯრის მთიდან გადმოვხედე თბილისს და
სიცივისგან ცახცახებდნენ იები,
მაგრამ სხივმა, სანეტაროდ დილისა,
აჭიკჭიკა მათ წინ ჩიტუნიები.

და როდესაც ცა ოდნავად შეფიცხდა,
გაზაფხულის სურნელებით დავთვერი
და შევხედე, გაცისკროვნდა ჩემი ცა:
მზე ამოდის – ჩახჩახა და ნათელი.

სურნელოვანი და ფერუცვლელი

ვარდის ფურცლებს შევაგროვებ –
ლამაზსა და სურნელოვანს
და თუ გზაზე შეგაგებებ,
სიყვარული სულ არ მოვა?

გავუფრთხილდეთ სპეტაკ გრძნობას,
მსგავსს როდესმე ნახავს ვინმე?
არც დაჭკნობა, არც დაზრობა,
ფერს ვერ უცვლის ამ ყვავილებს!

დრო ჩვენი შემწე და მკურნალია

სამაჩაბლო თუ აფხაზეთია,
ორნივ ერთია, დარდად ერთია,
ორივე ქვეყნის მძიმე წყლულია
და მათი ნახვა მუდამ მწყურია.

ჩვენს შორის მტრობა მოგონილია,
ამაზე მხოლოდ მტრები ჰყვირიან,
მტარვალი მოდის დასაოსებლად, –
უქართველებოდ, უაფხაზოდ და უოსებოდ.

დრო ჩვენთა წყლულთა ის მკურნალია,
რომ მიგვახვედრა, ვის რა ვალი აქვს,
ჩვენივე ყოფის, ჩვენივ ენისა
და ხალხთა ჩვენთა გადარჩენისა.

ერთად გაშენოთ კვლავ კავკასია

არც ევროპაა საქართველო და არც აზია,
ის სულ სხვა არის, სხვა ეშხი და სილამაზეა.
სვეტიცხოველში მაცხოვარის – ქრისტეს კვართია,
ის გვშველის, როცა ცხოვრების გზა უკუღმართია.

როცა ჩვენ გვმტრობენ, შებრალებას ნუღარ ელიან,
ჩვენი მფარველი, ჩვენი შემწე ღვთისმშობელია.
ის შეგვეწევა, ავამაღლოთ ჩვენი სიონი
და ხალხთა ძმობის კერად იქცეს კავკასიონი.

არც ევროპაა საქართველო და არც აზია, –
კავკასიაა, მისი მთების სილამაზეა!
არც ევროპაა საქართველო და არც აზია,
ის სიყვარულის მწვერვალია, უფლის სახლია.

თეიმურაზ ტატიშვილი,
ყოფილი პედაგოგი
თბილისი.
ტ. 557 687 886

აზიური ფაროსანა ნამდვილ თავსატეხად გვექცა

გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა აზიური ფაროსანა მთლად ხელწამოსაკრავ მავნებლად არ დაახასიათა. მისი თქმით, აზიური ფაროსანა პროტეინის წყაროა და შეუძლიათ, ჭამონ ქათმებმა, ინდაურებმა. რაც შეეხება ამ ხორცის ვარგისიანობას და მის სუნს, ლევან დავითაშვილის აზრით, ეს ინდივიდუალური აღქმის საგანია.**

აზიური ფაროსანა საქართველოს თავსატეხად იქცა. ერთი პერიოდი, ფაროსანასთან საბრძოლველად იაპონური კრაზანის შემოყვანაზე იყო საუბარი, რომელსაც აზიური ფაროსანას კვერცხები უნდა გაენადგურებინა. თუმცა ამ ბუნებრივი გამანადგურებლის უპირატესობა იმით დაიჩრდილა, რომ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს იაპონური კრაზანა-სამურაი ფაროსანას კვერცხებთან ერთად ქართულ ფუტკარსაც გაანადგურებდა.

მოგვიანებით შვეიცარიიდან დაბრუნებულმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა ლევან უჯმაჯურიძემ, რომელიც შვეიცარიაში სწორედ იაპონური კრაზანის ვარგისიანობას სწავლობდა, მეფუტკრეების შიში გააქარწყლა. მან აღნიშნა, რომ სამურაი-კრაზანა ფუტკარს არანაირ ზიანს არ მიაყენებდა, სამურაი არც ცხოველებს ესხმოდა თავს, არც ადამიანებს და არც სხვა მწერებს, ერთადერთი გამონაკლისის – ფაროსანას გარდა. ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში, საიდანაც აზიური ფაროსანა გვესტუმრა, იაპონური კრაზანა ყველაზე კარგ ბუნებრივ მარეგულირებლად და აზიური ფაროსანას ბიოლოგიურ მტრად ითვლება. სამურაი-კრაზანის დახმარებით ამ ქვეყნებში ფაროსანასთან ბრძოლა პრობლემას არ წარმოადგენს.

რას ნიშნავს ლევან დავითაშვილის განცხადება აზიური ფაროსანას პროტეინის წყაროს შესახებ და როგორ უნდა ვებრძოლოთ ფაროსანას?

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ თანათავმჯდომარე რუსუდან სიმონიძე აცხადებს, რომ ყველა ასეთი მწერი პროტეინის წყაროა, მაგრამ რა საჭიროა, ვინმემ გამოსცადოს, როგორი გემო აქვს ამ მწერის გადაყლაპვის შემდეგ ქათმისა და ინდაურის ხორცს? რად უნდა ამას შეთავაზება, უბრალოდ, მოსპონ ფაროსანა და გადაყარონ.

„რა საჭიროა ყოველგვარი ცდები ფაროსანასთან მიმართებით? მაშინ საამისოდ ჩატარდეს შესაფერისი კვლევები და გვაჩვენონ, თუ რა შედეგს მივიღებთ ამით. შეიძლება, უარყოფითი არც არაფერი მოხდეს, ადამიანის ორგანიზმზე არ იმოქმედოს ასეთი ხორცის მიღებამ, მაგრამ მაინც უსიამოვნოა. ის, რომ ფაროსანა ძალიან ბევრია და საფრთხეს ქმნის, ეს რეალობაა. სადაც არ უნდა წახვიდეთ დასავლეთ საქართველოში, ყველგან ნახავთ სახლებსა თუ ეზოებში მიმობნეულ ფაროსანას. სასწრაფოდ გადამწყვეტი ზომების მიღებაა საჭირო. რაც შეეხება ქიმიური ბრძოლის მეთოდებს, თავისთავად ის უარყოფითად ზემოქმედებს გარემოზე. ჩვენ არასდროს, არანაირ ეტაპზე არ მივესალმებოდით ბრძოლის ქიმიურ მეთოდთა გამოყენებას, მაგრამ, როცა გამოუვალი მდგომარეობაა, ალბათ, ესეც უნდა მოისინჯოს. როცა მძლავრ ქიმიურ საშუალებას იყენებ, ის მერე ზემოქმედებს მთელ ეკოსისტემაზე. ბიოლოგიური ბრძოლა უკეთესი და მისაღებია ჩვენთვის, გარემოს დამცველებისთვის. მთელი თანხები აქეთკენ უნდა მიემართოს“, – აღნიშნა რუსუდან სიმონიძემ.

აგრარული უნივერსიტეტის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების უფროსი, დოქტორი არჩილ სუპატაშვილი აცხადებს, რომ ქათამმა ან ინდაურმა ჭამოს თუ არა ფაროსანა და იქნება თუ არა მისგან მიღებული ხორცი მავნე, ამას ექსპერიმენტი და შესწავლა სჭირდება. ზოგადად, იმ ცხოველების ხორცს, რომლებიც თუნდაც თევზით იკვებებიან, სპეციფიკური სუნი აქვს. არჩილ სუპატაშვილის აზრით, ფაროსანათი ნაკვები ქათმისა და ინდაურის ხორცზე არანაკლებ საშიშია რთველის დროს საწნახელში შეყოლილი ფაროსანები.

„საწნახელში ღვინოს რომ წურავენ და ღვინოს შეერიოს ფაროსანას სუნი, ეს ხომ საშინელება იქნება? უნდა ვიცოდეთ, ათ კილო ყურძენს მხოლოდ ორი ცალი ფაროსანა რომ შეჰყვეს, მისცემს თუ არა სუნს წვენს? იაპონურ კრაზანას რაც შეეხება, საერთოდ, ბუნებრივ მწერზე კარგი არაფერია, რადგან შესაწამლი საშუალების შესხურება ცოტა რთულია. მაშინ უნდა სდიო ფაროსანას. თანაც, შესხურება ხდება მაშინ, როცა გაზაფხულზე გამოზამთრებული ფაროსანას დიდი ხოჭო კვერცხებს დებს. ხუთ დღეში გამოდის მისი პატარა მატლები და სწორედ მატლზე უნდა მოხდეს შესხურება. თუმცა ამ მატლების დაჭერაც რთულია, ვინაიდან ფაროსანა კვერცხებს დებს ფოთლის ქვედა მხარეს. ერთ ჯგუფში დაახლოებით 30-მდე კვერცხია, ისე 200 კვერცხი აქვს მუცელში და 30-30 კვერცხს ჯგუფ-ჯგუფად დებს. იაპონური კრაზანა სწორედ ფაროსანას კვერცხებზე დებს თავის კვერცხებს, საიდანაც გამოსული მატლი ჭამს ფაროსანას კვერცხში არსებულ ემბრიონს. ამით ნადგურდება ფაროსანა“, – აღნიშნა არჩილ სუპატაშვილმა და დასძინა, ანადგურებს თუ არა იაპონური კრაზანა ფუტკარს, ამასაც გამოკვლევა სჭირდება. თუმცა გამოკვლევა დროსა და თანხებს მოითხოვს. ამდენად, პარალელურად ძალიან რომ არ გამრავლდეს ფაროსანა, ბრძოლის სხვადასხვა მეთოდიც უნდა გამოვიყენოთ.

მათ შორის, საუბარია ფაროსანას მამლის სტერილიზაციაზე, რათა მან ვერ გაანაყოფიეროს დედალი. ფაროსანას ფიზიკურად განადგურების პროცესში მოსახლეობაც უნდა ჩაერთოს, რომელთა სახლებშიც შედის ეს მავნებელი.

არჩილ სუპატაშვილი ამბობს, რომ, სამწუხაროდ, როდესაც თანხებზე მიდგება საქმე, სამეცნიერო კვლევების მიმართ ინტერესი ქვეითდება. ასე რომ არ იყოს, პირადად მისი უწყება შეისწავლიდა ფაროსანას და მასთან ბრძოლის მეთოდებს. მით უმეტეს, რომ მის სამსახურს ბორჯომის ხეობაში გაჩენილ ნაძვის დიდ ლაფნიჭამიასთან ბრძოლის წარმატებული გამოცდილება აქვს.

„ბორჯომის ხეობაში ნაძვის დიდი ლაფნიჭამია სწორედ ჩვენმა განყოფილებამ გაანადგურა. ჩვენ ვმუშაობდით ნაძვის დიდი ლაფნიჭამიის ბიოლოგიის შესწავლაზე. მამაჩემმა, შალვა სუპატაშვილმა 1956 წელს პირველად ნახა ჩითახევის ჰესის მშენებლობაზე ეს მავნებელი და გაარკვია, რომ ეს იყო ლაფნიჭამია. ამის შემდეგ ატყდა მთელი ამბავი. მოგვიანებით უკვე ელექტროსადგურის მშენებლობისას ბორჯომში ეს მავნებელი რუსეთიდან ვაგონებით ჩამოტანილ ფიჭვის დაუხერხავ მორებს შემოჰყვა.

სულ ვამბობთ, რომ ტყიდან საერთოდ არ უნდა გამოვიდეს გაუხერხავი მასალა და არ გავიდეს სხვაგან, მაგრამ ლაფნიჭამიებს მაინც ვერ ავცდით. თანაც, წარმოიდგინეთ, თუ ეს მავნებელი რუსეთში ფიჭვს აზიანებდა, საქართველოში შემოსვლისას ბიოლოგიური აკლიმატიზაცია განიცადა და აღმოსავლურ ნაძვზე დასახლდა ბორჯომის ხეობაში. იქიდან მთელი საქართველოს ნაძვნარებს მოედო. ლაფნიჭამიების შემდეგ ჩვენ ჩეხოსლოვაკიაში ჩავედით, იქიდან წამოვიყვანეთ ნაძვის დიდი ლაფნიჭამიას გამანადგურებელი მწერი, ორი დედალ-მამალი. ლაფნიჭამიას გამანადგურებელი მონოფაგი სასარგებლო მწერია, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი მავნებლით იკვებება. ის მცენარით კი არ იკვებება, არამედ ზუსტად მავნებელი ლაფნიჭამიათი. სხვას არაფერს აზიანებს.

ჯერ ლაფნიჭამიას გამანადგურებლის ხელოვნური გამრავლების მეთოდიკა შევისწავლეთ, რამაც მსოფლიო აღიარება ჰპოვა. საქართველოს სატყეო მეურნეობის პატარა ლაბორატორიების ბაზაზე კი ლაფნიჭამიას გამანადგურებელი ოთხი მილიონი მწერი გავამრავლეთ და ამის შემდეგ დავიწყეთ მათი ჩასახლება ბუნებაში, სადაც ნაძვის დიდი ლაფნიჭამიების კერები იყო. ლაფნიჭამიას მსგავსად, ფაროსანას ბიოლოგიის შესწავლაც უნდა მოხდეს. სხვათა შორის, ჩინეთსა და კორეაში ფაროსანას კვერცხების ათი დაზიანებიდან 9 სწორედ იაპონურ კრაზანა-სამურაიზე მოდის“.

მოამზადა
მანანა ნოზაძემ

კახეთში საგაზაფხულო ხვნის სამუშაოები მიმდინარეობს

კახეთის რეგიონში შპს „მექანიზატორის“ ტექნიკა საგაზაფხულო ხვნის სამუშაოებს ახორციელებს. დღეის მდგომარეობით, გურჯაანის სერვისცენტრში მობილიზებული ტექნიკით უკვე დამუშავებულია 1000 ჰექტარი მიწის ფართობი.

სამუშაოები აქტიურად გრძელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სადაც შპს „მექანიზატორის“ 2 ერთეული ტრაქტორით 50 ჰექტარი მიწის ფართობი მუშავდება.

საგაზაფხულო ხვნების სამუშაოების ჩასატარებლად, შპს „მექანიზატორის“ გურჯაანის სერვისცენტრში 186 ერთეული ტრაქტორია მობილიზებული. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ტექნიკა სრულად ჩაერთვება სამუშაო პროცესში.

შპს „მექანიზატორი“ მიწათმოსარგებლეებს 80-მდე აგროოპერაციის შესრულებას მთელი საქართველოს მასშტაბით სთავაზობს.

„იქნებ, მართლა სჯობს ასჯერ გაზომვა?!“

(მეხუთე გვერდიდან)

...ამასობაში კი ამ საკითხთან მიმართებაში თანამოაზრეც გამომიჩნდა: „საქართველოს სურს, დაიბრუნოს ისტორიული სახელწოდება – „საქართველო“ („საქ. რესპუბლიკა“, №9, 2018 წლის 16 იანვარი, გვ. 3. რევაზ გიორხელიძე – **„კითხვები ბევრია, პასუხები არ ჩანს...“**). **ჯერ ერთი, – თუ აქ ავტორი ბ-ნი ანზორის იდეის ხორცშესხმას გულისხმობს, მის მხარდამჭერად მთელი საქართველოს გამოცხადება გადამეტებულ ოპტიმიზმად მეჩვენება, თუმცა ამ იდეას ქართველი საზოგადოების ნაწილი რომ გამოეხმაურებოდა, ამას ჩვენც ვვარაუდობდით. რაც შეეხება ავტორის ამ ფრაზის მეორე ნაწილს – „ქვეყანაში არ დარჩა სხვა არანაირი პრობლემა, გარდა არაბულ-თურქული საოკუპაციო დანატოვარის ამოძირკვისა, რომელსაც „Грузия“ ეწოდება (ეს ტერმინი, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, „წმინდა წყლის“ რუსული წარმომავლობისაა და კარგი იქნება თუ რედაქცია ამ საკითხთან დაკავშირებით ამომწურავ, მეცნიერულად დასაბუთებულ ახსნა-განმარტებას მიაწვდის მკითხველს – ი.მ.). უკვე აღარ არსებობს ქვეყნის ისლამიზაციის საფრთხე, რომელზეც სულ ცოტა ხნის წინათ საუბრობდა ყველა გაზეთი, არც ოკუპირებული ტერიტორიები, არც სეპარატისტული განწყობები სომხეთითა და აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში, და არც აჭარას ემუქრება მორიგი გათურქება“,** – ეს ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემათა სწორედ ის ჩამონათვალია, რომელთა მიმართ ქართველი ხალხის დამოკიდებულება უყოყმანოდ ერთსულოვანია და რომელთა შორის ზოგიერთი მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

ამ პრობლემების ფონზე ყველაფერი, დაკავშირებული „საქართველოსა“ და „ქართველის“ დამკვიდრების იდეასთან, „ჭიქაში ატეხილ ქარიშხალს“ წააგავს, თუნდაც იმიტომ, რომ უკვე... დაგვიანებულია! ამის დამადასტურებელი თვალსაჩინო მაგალითებია წამყვანი ქართული ტელეარხების („იმედი“, „რუსთავი-2“) საერთაშორისო ეთერში წარმატებით აპრობირებული „მეგაშოუები“ („ნიჭიერი“, „X-ფაქტორი“, „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ და სხვ.) – მახსოვს, ერთერთი მონაწილე იმ მიზეზით არ გადაიყვანეს შემდეგ ტურში, რომ იქ ინგლისურად მოგიწევს სიმღერა და შენში კი ამის შესაძლებლობა ვერ დავინახეთო! ხომ არ არის ეს ნიშანი იმისა, რომ ჩვენ უკვე მართლაც რომ „ჯორჯია“ ვართ – რუსულის სანაცვლოდ ინგლისური ხომ მეორე სახელმწიფო ენად ლამის ოფიციალურადაც დავაკანონეთ: 22 დეკემბერს „იმედზე“ საგანგებოდ ვუსმინე „ვარსკვლავების“ ნახევარფინალს და არც ერთი სიმღერა ინგლისურის გარდა არ შესრულებულა! და ეს მაშინ, როცა ქართველების ენაზე ნამღერი „ჩაკრულო“ ჩვენს პლანეტაზე განვითარებული ცივილიზაციის არსებობის დამადასტურებელ „სავიზიტო ბარათად“ გაიგზავნა კოსმოსში!

საით მივექანებით?

ადრეც დამიწერია და ვიმეორებ: ჩვენ კაცობრიობის პატარა, მაგრამ განუყოფელი ნაწილი ვართ, იგი კი გლობალიზაციის სენით არის „დაავადებული“. მისგან თავის არიდების გამოსავალს ყველა თავისებურად ეძებს. გული მწყდება, რომ სიცოცხლეში ვერ შევხვდი ბ-ნ ანზორს – ვფიქრობ, ბევრ საკითხში გამოვნახავდით საერთო ენას და, ალბათ, იმაზეც შევთანხმდებოდით, რომ როცა საკითხის მნიშვნელობა პირადულს სცდება, თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, იხელმძღვანელოს სოკრატეს იმ დამოძღვრებით, 2300 წლის მანძილზე რომ უნათებდა კაცობრიობას გზას პროგრესისაკენ: „Amicus Plato, sed magic amica veritas!“ – რომლის თავისუფალი თარგმანი ასეთია: **„პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ მეგობრობაზე მეტად ფასეული ჭეშმარიტებაა!“**

ილამაზ მიწიშვილი

◎ სეზონის სტარტზე

ეროვნულის ღია ვარჯიში

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 23 ფეხბურთელის შემადგენლობით ღია ვარჯიში გამართა. გუნდთან ერთად პირველად ვიხილეთ პოლონური „პოგონის“ მცველი ლაშა დვალი, რომელიც ტრავმირებულ დავით ხოჭოლავას შეცვლის. საწვრთნელი პროცესი კვლავ „ზესტაფონის“ ბაზაზე წარიმართა. ამ ეტაპზე ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული თითოეული ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და ამხანაგურ მატჩებში საკუთარი შანსის მოლოდინშია. საწვრთნელი პროცესის დაწყებამდე ვლადიმირ ვაისმა ეროვნული ნაკრების კიდევ ერთ დებიუტანტთან, 18 წლის გიორგი ჩაკვეტაძესთან ერთად პრესკონფერენცია გამართა და მედიის წარმომადგენელთა შეკითხვებს უპასუხა.

ვლადიმირ ვაისი: „ჩვენი დონის გუნდებისთვის ერთა ლიგა დიდი შანსია. წილისყრის შედეგად ჯგუფში ყაზახეთის, ლატვიისა და ანდორის ნაკრებებთან ერთად მოვხვდით, ჩვენი მიზანი კი ამ ჯგუფიდან გასვლაა. ეს ყველას საერთო მიზანია – ხელმძღვანელობის, მწვრთნელების, ფეხბურთელებისა და ქართველი გულშემატკივრის.

ძალიან მიხარია, რომ გიორგი ჩაკვეტაძე ჩვენთან ერთადაა. პირველად მისი თამაში 16 წლის ასაკში ვნახე და ორ სეზონში მან დაუჯერებელი პროგრესი განიცადა. ჩაკვეტაძე მხოლოდ 18 წლისაა და ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტალანტია. რა თქმა უნდა, მე ის გამოვიძახე იმისთვის, რომ ვათამაშო და დავაკვირდე. გიორგი ნაკრებში ვარჯიშით სიამოვნებას იღებს და გამოცდილებას აგროვებს. ვფიქრობ, თვითნაბადი ნიჭი და საფეხბურთო შესაძლებლობები მას დიდ კარიერას უწინასწარმეტყველებს. რაც მთავარია, სწორად აზროვნებს. გუშინ მის მშობლებს ვესაუბრე. გიორგი ჩაკვეტაძე ლიტვასთან ძირითად შემადგენლობაში იქნება.

ჩვენი დონის გუნდებთან მოგება უნდა ვისწავლოთ. ლიტვა და ესტონეთი რეიტინგში უფრო მაღლა არიან, მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ დროებით. ჩვენი მიზანია აქტიური, ხარისხიანი ფეხბურთი ვაჩვენოთ. მოგება თუ გვინდა, ჭკვიანურად და პირველ ნომრად უნდა ვითამაშოთ. ეს ნიშნავს შემტევ ფეხბურთს და კარგ ბალანსს დაცვასა და წინა ხაზს შორის. შეკრებაზე, მეკარეთა გარდა, ოცი ფეხბურთელია გამოძახებული. მსურს, შანსი ყველას მივცე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვისწავლოთ მოგება ფსიქოლოგიური წნეხის მიუხედავად“.

გიორგი ჩაკვეტაძე: „ოპტიმალური შემადგენლობით შევიკრიბეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმის გამო დავით ხოჭოლავა გამოგვაკლდა. ვფიქრობ, რომ ლიტვისა და ესტონეთის ნაკრებების წინააღმდეგ ორივე თამაში მოსაგები გვაქვს. გამარჯვება ჩვენთვისა და ქართველი გულშემატკივრისთვის ძალიან კარგი იქნება. რა თქმა უნდა, ამხანაგური მატჩები ერთა ლიგისთვის მოსამზადებლად დაგვეხმარება. რაც შეეხება ჩვენს შანსებს ერთა ლიგაში, გამორჩეული გუნდი არც ერთი არაა და თამაში ყველასთან შეგვიძლია. ვფიქრობ, საქართველოს ეროვნული ნაკრები ამ ტურნირის ფავორიტია“.

საქართველოს ნაკრების წლის პირველი მეტოქე თბილისში 21 მარტს ჩამოვიდა, ხოლო შეხვედრა „ჯვაროსანთა“ და ლიტვას შორის დღეს შედგება. რაც შეეხება მეორე ამხანაგურ მატჩს, იგი ესტონეთის ნაკრების წინააღმდეგ 27 მარტს გაიმართება.

ორივე შეხვედრა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 19 საათზე დაიწყება. დასწრება თავისუფალია.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

როგორც იქნა...

საქართველოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა მაიამის მასტერსის პირველ რაუნდში ტომას ფაბიანო დაძაბულ ბრძოლაში 1:6, 6:2, 7:5 დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე ტურნირის მეექვსე ნომერს, სამხრეთაფრიკელ კევინ ანდერსონს შეხვდება.

ამრიგად, ბასილაშვილის წარუმატებელი შვიდმატჩიანი სერია დასრულდა. ბოლო ორი შეხვედრა ინდიანა უელსის მასტერსსა და მექსიკის ღია ჩემპიონატზე ნიკოლოზმა ტრავმის გამო დათმო.

იტალიელი ქართველს მეოთხედ შეხვდა და ზედიზედ მესამედ წააგო. პირველი სეტი ნიკოლოზმა კარგად დაიწყო, მეორე გეიმზე ბრეიკით დაწინაურებაც შეეძლო, თუმცა ტომასმა იყოჩაღა და საბოლოოდ 6:1 მოიგო. აღნიშნულ შვიდ გეიმში ჩვენებურმა ბევრი შეცდომა დაუშვა – ბურთი აუტზე ხშირად გადადიოდა და ბადესაც ხშირად ხვდებოდა, მაგრამ მეორე და მესამე პარტიებში მსოფლიოს 89-ე ჩოგანმა დამაჯერებელი თამაში აჩვენა. მეორე სეტში ბასილაშვილმა 6:2 იმარჯვა და უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მოწოდება 14-ჯერ შეასრულა ზუსტად, თანაც, ქულა არ დაუკარგავს. მესამე ხელი ქართველმა ბრეიკით დაიწყო და ჩავარდნა მხოლოდ მეექვსე და მეშვიდე გეიმებზე ჰქონდა, როდესაც მეტოქემ ანგარიში ბრეიკით გაათანაბრა და შემდეგ წინაც გავიდა - 4:3. მე-11 და მე-12 გეიმებით კი ნიკოლოზმა დაამტკიცა, რომ დღეს ფაბიანოზე უკეთესად გამოიყურება. მან ტომასი აშკარად დაჯაბნა კარგი გათამაშებებით და სუფთა ქულებით.

ჯერჯერობით ბასილაშვილისა და ანდერსონის თამაშის დაწყების ზუსტი დრო უცნობია. მეტოქე მსოფლიოს რეიტინგში მერვე ნომერი გახლავთ. მანვე მიმდინარე სეზონში ნიუ იორკის ტურნირი მოიგო, ხოლო მექსიკის ღია ჩემპიონატის ფინალში ხუან-მარტინ დელ პოტროსთან დამარცხდა. ბასილაშვილი კი 2018 წელს რეიტინგში რეგრესს განიცდის და ფაბიანოსთან გამარჯვება, ვიმედოვნებთ, ნიკოლოზისთვის სტიმულისმომცემი იქნება. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველს ტოპ ათეულის ჩოგბურთელებთან წარმატებით თამაშიც შეუძლია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სუმო

უიღბლო მეცამეტე

ტოჩინოშინმა ოსაკაში მიმდინარე მარტის ჰარუ ბაშოზე მეხუთე შეხვედრა წააგო - სეკივაკეს შიკონათი მოჭიდავე ლევან გორგაძე გუშინ მეოთხე მაეგაშირა შოდაისთან დამარცხდა და 13 ტურის შემდეგ სამქულიანი დადებითი ბალანსი აქვს – 8:5. დღეს ქართველი სეკიტორი მეხუთე მაეგაშირა ჩიომარიუს დაუპირისპირდება, რომელსაც აქამდე ორჯერ შეხვდა და ორივეჯერ აჯობა. მიმდინარე ბაშოზე ჩიომარიუს ანგარიშზე 6 მოგება და 7 წაგებაა.

მე-13 ტური, ტოჩინოშინის მსგავსად, გაგამარუსთვისაც წარუმატებელი გამოდგა – თეიმურაზ ჯუღელს ჯურიო ლიგაში 7 ბრძოლა აქვს მოგებული და მინიმუმ ერთი ქულა კიდევ სჭირდება საბოლოო დადებითი ბალანსის – კაჩიკოშის დასაფიქსირებლად.

კობა კობახიძე

◎ ჭადრაკი

ეკვატორი გადალახეს

ევროპის მე-19 ინდივიდუალური ჩემპიონატის მონაწილეებმა ეკვატორი გადალახეს – 11-დან 6 ტური უკვე გათამაშდა.

5-5 ქულით შესანიშნავი შვიდეული ლიდერობს: ტამირ ნაბატი (ისრაელი; 2690), ევგენი ნაერი (რუსეთი; 2683), გევეინ ჯონსი (ინგლისი; 2651), ერნესტო ინარკიევი (რუსეთი; 2684), ბენჟამინ ბოკი (ჰოლანდია; 2622), რადოსლავ ვოიტაშეკი (პოლონეთი; 2738) და სანან სიუგიროვი (რუსეთი; 2652).

ერთი ქულით ნაკლები აქვს მასპინძელთა ჯგუფს: დავით არუთინიანი (2536), მიხეილ მჭედლიშვილი (2600), ლევან ფანცულაია (2593), ლუკა პაიჭაძე (2581), ბაადურ ჯობავა (2685) და ლუკა ობოლაძე (2318).

განსაკუთრებით აღსანიშნავია 16 წლის ლუკა ობოლაძის წარმატება, რომელმაც გაცილებით ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში 4 ქულა მოაგროვა და ჯერჯერობით 40 სარეიტინგო ქულას იმატებს.

მომდევნო ტურში ჩვენ მოჭადრაკეებს საკმაოდ დაძაბული და რთული პარტიები ელით:

მჭედლიშვილი – ივანჩუკი, მამედოვი – ფანცულაია, ბრკიჩი – ჯობავა, პაიჭაძე – კორობოვი, არუთინიანი – ანდერსენი და პონომარიოვი – ობოლაძე.

გუშინ მონაწილეები ისვენებდნენ. მომდევნო, მე-7 ტური დღეს გაიმართება.

გეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

მოწოლება – მამრი!

სულ რომ არ გვინდოდეს და გვეზარებოდეს ვეტერანი არგენტინელი ფეხბურთელის სანტიაგო სოლარის გადარეულ დაზე – მოდელ ლიზ სოლარიზე წერა, ეს გოგო ისეთი ახტაჯანა ვინმეა, არასოდეს დაცხრება და მხოლოდ ჩვენ კი არა, მთელი მსოფლიოს ბულვარულ მედიას საწერსა და საკბილოს არასოდეს გამოულევს.

აი, მაგალითად, ამ რამდენიმე დღის წინათ მან აღიარა, რომ ცხოვრებაში ედგა ჟამი, როდესაც არა ერთი, არამედ ერთბაშად სამი საყვარელი ჰყავდა და როდესაც ეს ამბავი სამივე მათგანმა გაიგო – მამაკაცები გადაირივნენ და ვერ გაუგეს გულისსწორს. თავად ლიზიკო კი იძახის – დიდი ამბავი, თუ ადამიანის ტრფიალება უსაზღვრო და მრავალფეროვანიაო...

შეიძლება ზოგს ეგონოს, რომ სენიორა სოლარი ასეთ ამბებს მხოლოდ პიარისთვის იგონებს (ალბათ, არც უამისობაა), მაგრამ ამ ქალს კარგად რომ ჩავუღრმავდეთ, ადვილად მივხვდებით, რომ თავად ლიზია ასეთი უცნაური ვინმე და ისიც ადვილად დასაჯერებელია, რომ მრავალსაყვარლიანობა მისი ჰობი, მუღამი და მოწოდებაა...

როსტომ რაჭველიშვილი

სატენდერო მოწვევა

თარიღი:	**23 მარტი, 2018**
სესხის №. და სახელწოდება	**2843-GEO: საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 3 (დამატებითი დაფინანსება)**
კონტრაქტის №. და სახელწოდება	**RCIP/CW/NCB-01: ქობულეთის შემოვლითი გზის განათება კმ 0+000 – 12+400**
სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა:	**23 აპრილი, 2018, 16:00 სთ (ადგილობრივი დროით)**

1. საქართველომ აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო დაფინანსება საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 3 (დამატებითი დაფინანსება). აღნიშნული დაფინანსების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთქმული კონტრაქტის განსახორციელებლად. ტენდერში მონაწილეობას მიიღებენ პრეტენდენტები აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნებიდან.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი („დამკვეთი“) გიწვევთ, წარმოადგინოთ დალუქული სატენდერო წინადადება ქობულეთის შემოვლითი გზის განათებისათვის. აღნიშნული სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტი ითვალისწინებს განათების სიტემების მოწყობას ქობულეთის შემოვლითი გზისთვის კმ 0+000 – 12+400. მშენებლობის პერიოდი შეადგენს 6 თვეს.

2. **ადგილობრივი ტენდერი** ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთ-ეტაპიანი ერთ კონვერტიანი სატენდერო პროცედურის თანახმად და მასში მონაწილების მიღება შეუძლია ყველა პრეტენდენტს, აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნებიდან.

3. ტენდერში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ პრეტენდენტები აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნებიდან. ყველა მონაწილე და ერთობლივი საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

მიმდინარე დავები და არბიტრაჟი - მიმდინარე დავები და არბიტრაჟი ჩაითვლება გადაწყვეტილად, რაც მთლიანად არ უნდა აღემატებოდეს პრეტენდენტის წმინდა კაპიტალის 50%-ს, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს სხვაობას მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.

ფინანსური მდგომარეობა:

● მონაწილის წმინდა კაპიტალი მინიმუმ ბოლო წლის განმავლობაში უნდა იყოს დადებითი. აღნიშნული წარმოადგენს სხვაობას მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.

● მისი მინიმალური ყოველწლიური საშუალო სამშენებლო ბრუნვა ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5,800.000 ლარს (ხუთი მილიონ რვაასი ათასი ლარი). მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მას გააჩნია ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსები - არანაკლებ 730,000.00 ლარისა (შვიდას ოცდაათი ათასი ლარი)

მშენებლობის გამოცდილება:

● ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში, მონაწილეობა როგორც კონტრაქტორი, ქვე-კონტრაქტორი ან მმართველი კონტრაქტორი მინიმუმ ერთ (1) კონტრაქტში, რომელიც მოცემულ შემოთავაზებულ სამუშაოთა მსგავსია. აღნიშნული მსგავსი კონტრაქტის ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 1,200,000.00 ლარს (მილიონ ორასი ათასი ლარი) და იგი უნდა იყოს წარმატებით ან არსებითად განხორციელებული.

მშენებლობის გამოცდილება შემდეგ ძირითად ღონისძიებებში:

● გზის განათების სამუშაოების გამოცდილება არანაკლებ 3კმ გზისათვის ერთი წლის განმავლობაში

4. დამატებითი ინფორმაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, გთხოვთ მოგვმართოთ:

ბატონი ნუგზარ გასვიანი
მისამართი: ალ. ყაზბეგის 12,. 0160 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 37 05 08 შიდა:311
ფაქსი: (+995 32) 2 37 66 03
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

5. სატენდერო დოკუმენტაციის შესაძენად ინგლისურ ენაზე, მონაწილეებმა უნდა განახორციელონ შემდეგი:

● წარმოადგინონ წერილობითი მოთხოვნა **ქობულეთის შემოვლითი გზის განათების კმ 0+000 – 12+400** სატენდერო დოკუმენტაცის მისაღებად

● გადაიხადონ მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით ან მისი ექვივალენტი აშშ დოლარში, რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას, შემდეგ ანგარიშზე:

<u>ლარში ანგარიშსწორებისთვის</u>:
Name of the recipient: TREASURY ACCOUNT
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

<u>დოლარში ანგარიშსწორებისთვის</u>:
Intermediary: FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia
IBAN: GE65NB0331100001150207
Payment Designation: Tender fee for the Roads Department for the Lighting of Kobuleti Bypass Road

6. გთხოვთ თქვენი სატენდერო წინადადება წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის 12
სართული/ოთახის ნომერი: მე-4 სართული, კანცელარია
ქალაქი: 0160 თბილისი
ქვეყანა: საქართველო

● **არაუგვიანეს 2018 წლის 23 აპრილისა 16:00 სთ (ადგილობრივი დროით)**

● სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან ერთად.

სატენდერო წინადადებები საჯაროდ გაიხსნება სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადის გასვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ, მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით შემდეგ მისამართზე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
მისამართი: ალ. ყაზბეგის 12,.
სართული/ოთახის ნომერი: მე-3 სართული, საკონფერენციო დარბაზი
ქალაქი: 0160 თბილისი
ქვეყანა: საქართველო

აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს ინგლისურენოვანი სატენდერო მოწვევის არაოფიციალურ თარგმანს. შესაბამისად, უზუსტობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სატენდერო მოწვევის ინგლისურ ვერსიას.

ADB

Invitation for Bids

Date:	March 23, 2018
Loan No. and Title:	2843-GEO: Road Corridor Investment Program - Tranche 3 (Additional Financing)
Contract No. and Title:	RCIP/CW/NCB-01: Lighting of Kobuleti Bypass Road Km 0+000 – 12+400
Deadline for Submission of Bids:	April 23, 2018, 16:00 local time

1. Georgia has received financing from the Asian Development Bank toward the cost of Road Corridor Investment Program - Tranche 3 (Additional Financing). Part of this financing will be used for payments under the Contract named above. Bidding is open to bidders from eligible source countries of the ADB.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia ("the Employer") invites sealed bids from eligible Bidders for the construction and completion of Lighting of Kobuleti Bypass Road. This civil works contract includes arrangement of lighting systems for Kobuleti Bypass Road Km 0+000 – 12+400. Construction period is six (6) months.

2. **National competitive bidding** will be conducted in accordance with ADB's Single-Stage One Envelope bidding procedure and is open to all Bidders from eligible countries as described in the Bidding Documents.

3. Only eligible Bidders with the following key qualifications should participate in this bidding (All Bidders and Joint Ventures shall meet the following criteria as further detailed in the Bidding Documents):

Pending Litigation and Arbitration: All pending litigation and arbitration, if any, shall be treated as resolved against the Bidder and so shall in total not represent more than 50% percent of the Bidder's net worth calculated as the difference between total assets and total liabilities.

Financial Situation:

● As a minimum, the Bidder's net worth for the last year calculated as the difference between total assets and total liabilities should be positive.

● Minimum average annual construction turnover for the last three (3) years must not be less than GEL 5,800,000.00 (five million eight hundred thousand Georgian Lari) and the bidder should demonstrate that it has access to financial resources of not less than GEL 730,000.00 (seven hundred thirty thousand Georgian Lari).

Construction Experience:

● Participation as prime contractor, or subcontractor, or construction management, for at least one (1) contract similar to the proposed works within the last five (5) years, with a value of at least GEL 1,200,000.00 (one million two hundred thousand Georgian Lari) that has been successfully or substantially completed.

Construction experience in the following key activities:

● Road Lighting Network Installation works for at least 3 km. of road in a duration of one year.

4. To obtain further information and inspect the bidding documents, Bidders should contact:

Mr. Nugzar Gasviani
Adress: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 37 05 08 ext.311
Fax: (+995 32) 2 37 66 03
info@georoad.ge

5. To receive the bidding documents in English, eligible Bidders should:

● write to address above requesting the Bidding Documents for "*Lighting of Kobuleti Bypass Road Km 0+000 – 12+400*"

● pay a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD to:

<u>For GEL transfer:</u>

Name of the recipient: TREASURY ACCOUNT
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

<u>For USD transfer:</u>

Intermediary: FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia
IBAN: GE65NB0331100001150207
Payment Designation: Tender fee for the Roads Department for Lighting of Kobuleti Bypass Road.

6. Deliver your bid to:

Roads Department of the Ministry of Regional Development
and Infrastructure of Georgia.
Street address: Al. Kazbegi Avenue #12.
Floor/Room number: IV Floor, Chancellery
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia

● on or before the deadline: April 23, 2018, 16:00 local time

● together with a Bid Security as described in the Bidding Document.

Bids will be opened immediately after the deadline for bid submission in the presence of Bidders' representatives who choose to attend at the following address:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Street address: Al. Kazbegi Avenue #12
Floor/Room number: III Floor, Conference Hall
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia

ს.ს.ი.პ - წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა (იქ სადაც ფიქსირდება) და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. გუნი-კალას მიმდებარე ტერიტორია, „გუნია-კალას“ ვულკანური წიდის საბადო (კატეგორია - C_1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 17 800 $მ^3$).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. გუნი-კალას მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	5 847 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	584,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	3 124 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 26 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის
	დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	24 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 24 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №2

უნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება. ე) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება. ვ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით. ზ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის. თ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა. ი) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას შინაგანსაქმეთა სამინისტროს სახელმწიფოს საქვეუწყებო დაწესებულებასაქართველოს სასაზღვრო პოლიციის წერილით (M1A 117 02407708 05.10.2017წ) გათვალისწინებული მოთხოვნა. კ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფ. მლაშეს მიმდებარე ტერიტორია, „მლაშეს“ ანდეზიტ-ბაზალტის (სხვა საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 34 800 $მ^3$).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფ. მლაშეს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	4 890 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	489 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 645 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 26 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 24 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 24 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 24 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
